დანართი №3

სსიპ კოლეჯ „ქართლის“ მიერ ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

თამარ გიორგობიანი

წევრები:

ნინო რამიშვილი

ირმა ღარიბაშვილი

ქეთევან ღვანიძე

ზაზა პაპიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „ქართლი“

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 243919033

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

დაწესებულების ავტორიზაცია

■ დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)

☐ დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 18 სექტემბრის N1176224 ბრძანების საფუძველზე შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს შემდგენლობით - თამარ გიორგობიანი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო რამიშვილი - ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ირმა ღარიბაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ქეთევან ღვანიძე - ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ზაზა პაპიძე - ექსპერტთა ჯგუფის წევრი, დაევალა სსიპ - კოლეჯ „ქართლში“ (მისამართი: ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ახალი ბანას ქუჩა N15) 2025 წლის 15 – 17 ოქტომბრის პერიოდში ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის საფუძველზე. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე, თამარ გიორგობიანმა და ნინო რამიშვილმა ვიზიტი განახორციელეს 2025 წლის 15, 16 და 17 ოქტომბერს, ირმა ღარიბაშვილმა - 12025 წლის 15 ოქტომბერს, ხოლო ქეთევან ღვანიძემ და ზაზა პაპიძემ - 2025 წლის 17 ოქტომბერს.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გაეცნო ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას, შეაჯერა განსახილველი საკითხები და შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა დღის წესრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში ექსპერტები დაწესებულებაში გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებს. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, კოლეგიალურ და საქმიან ვითარებაში. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება ახორციელებს რამდენიმე მოკლევადიან პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამას.

III. ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით

პროგრამის სახელწოდება	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	პროგრამის განხორციელების ადგილი
შედუღება	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებულ სამუშაო გარემოში		ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ახალი ბანას ქ. N15
ელექტროობა	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებულ სამუშაო გარემოში		ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

				სურამი, ახალი ბანას ქ. N15
აღმზრდელი	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ახალი ბანას ქ. N15

IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველადი ავტორიზაციის შემთხვევაში. ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები
I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
1.1) პსდ-ს მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4) ადამიანური რესურსები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
შედუღება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ელექტროობა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
აღმზრდელი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

II სტანდარტი

2.2.1.1 *იმის გათვალისწინებით, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის **„შედეგება“** დაწესებულებას სრულად არ აქვს შესყიდული პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსი, ხოლო სტანდარტთან შესაბამისობის გეგმით შესყიდვის ვადად განსაზღვრული აქვს 2026 წლის 15 აპრილი, რეკომენდებულია, დაიცვას მითითებული ვადა.*

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

I სტანდარტი

1.2.2.1 *კოლეჯის 2025 წლის სამოქმედო გეგმაში კოლეჯის აქტივობების შესრულების პერიოდები რიგ შემთხვევაში არარელევანტურადაა გაწერილი, (მაგ.: საავტორიზაციო განაცხადის წარდგენისა და ავტორიზაციის მიღების ვადები), შესაბამისად, რეკომენდებულია, დაწესებულებამ რეალისტურად შეაფასოს გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების ვადები და კორექტირების საჭიროების შემთხვევაში, სწორად დაგეგმოს პორცესები.*

IV სტანდარტი

4.1.2.2 *კოლეჯის მიერ შემუშავებულ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტში ცალკეულ შემთხვევებში (მაგ.: ქსელისა ადმინისტრატორისა და საქმისმწარმოებლის პოზიციაზე) სავალდებულო მოთხოვნად უმაღლესი განათლებაა მითითებული, მაშინ როდესაც ამ მიმართულებით თავისუფლადაა შესაძლებელი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირის დასაქმება. შესაბამისად, რეკომენდებულია, დაწესებულებამ სწორად გაიაზროს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.*

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.1.1.1 პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს, კერძოდ:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 13 სექტემბრის N78/ნ ბრძანების თანახმად კოლეჯი „ქართლი“ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნდა. კოლეჯი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „პროფესიული განათლების შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, წესდებითა და შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით. დაწესებულების მიზანია პროფესიული სტუდენტების/მსმენელების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა და მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა. დაწესებულების წესდებით განსაზღვრულია საქმიანობის საგანი, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების, სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების განხორციელებაში, ასევე არაფორმალური განათლების ფარგლებში სასწავლო პროგრამების/კურსების, ერთობლივი პროფესიული საგანმანათლებლო /მოკლე ციკლის საგანმანათლებლო, გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში მდგომარეობს.

მისიის თანახმად, კოლეჯი „ქართლი“ მრავალპროფილური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომით ბაზარზე მოთხოვნადი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას ტრადიციული ხელობებისა და თანამედროვე პროფესიების მიმართულებებით. კოლეჯის მისია შესაბამისობაშია პროფესიული განათლების შემდეგ მიზნებთან:

ა) ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა;

ბ) სოციალური ინკლუზიის, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;

გ) მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა;

დ) საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და შეთავსებადობა.

1.1.1.1 სტანდარტი შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.1.1.2 მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან, კერძოდ:

სსიპ კოლეჯ "ქართლის" საგანმანათლებლო საქმიანობა მრავალპროფილურია, რაც მისიითა განსაზღვრული და გულისმობს კოლეჯის მიერ სხვადასხვა სფეროს/დარგისათვის კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადებას ნებისმიერი ასაკობრივი სეგმენტიდან. კოლეჯი "ქართლი" ერთადერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა ხაშურის მუნიციპალიტეტში, რომელიც თანამშრომლობს კერძო და საჯარო სექტორთან და პარტნიორი ორგანიზაციების ხელშეწყობით უზრუნველყოფს კადრების მომზადებას პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამებისა და პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელებით. კოლეჯის სტრატეგიული გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, თანამედროვე ინფრასტრუქტურა, მრავალფეროვანი, ტრადიციული და თანამედროვე პროფესიული პროგრამები, მხარდაჭერა ადგილობრივი თვითმმართველობისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხრიდან, მაღალკვალიფიციური ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების გუნდი - ერთობლიობაში განსაზღვრავს კოლეჯის განსხვავებულობასა და მისიასთან შესაბამის იდენტობას პროფესიული განათლების სისტემაში.

1.1.1.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

1.1.1.3 დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები, კერძოდ:

სსიპ კოლეჯ "ქართლის" ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან. კოლეჯი "ქართლის" ხედვა ასახავს მომავლის სასურველ სურათს, 2028 წლისათვის კოლეჯი აღიარებული იყოს წამყვან პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცედ როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო მასშტაბით, რომელიც ხელს შეუწყობს მოთხოვნადი პროფესიების სწავლებასა და დასაქმებას. კოლეჯის საქმიანობა ეფუძნება ფუნდამენტურ მიდგომებს, მათი კულტურით პოზიტიური ცვლილებები შეიტანონ ადამიანების ცხოვრებაში, კოლეჯის თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტებისათვის უზრუნველყონ უსაფრთხო და ჯანსაღ გარემოში მუშაობის, სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობები, შექმნან თანამედროვე, მაღალი სტანდარტების ინკლუზიური და მდგრადი პლატფორმა მისიის შესასრულებლად, რომელიც ეფუძნება ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა:

- კეთილსინდისიერება
- პროფესიონალიზმი
- გუნდურობა
- ინიციატიურობის წახალისება
- სტუდენტზე ორიენტირებულობა
- ინოვაციურობის მხარდაჭერა
- ტექნოლოგიური განვითარება
- საქმიანობის გამჭვირვალობა
- სანდო პარტნიორული თანამშრომლობა
- სოციალურ პასუხისმგებლობა

1.1.1.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.1.1.4 მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი, კერძოდ:
სსიპ კოლეჯ "ქართლის" მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისათვის - ინფორმაცია განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდსა და ფეისბუქის სოციალური ქსელის გვერდზე, ასევე, თვალსაჩინოდაა განთავსებული კოლეჯი "ქართლის" შენობაში. კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის თანახმად, მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების პროცესში, ჩართული იყო კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი. მისია, ხედვა, ღირებულებების პროექტები, უახლოეს ამოცანებსა და მიზნებთან ერთად, წარდგენილი იყო პრეზენტაციების სახით ყველა იმ დაინტერესებული მხარისთვის, როგორიცაა ხაშურის მერია, საკრებულო, პარტნიორი ორგანიზაციები.

1.1.1.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 13 სექტემბრის N78/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „ქართლის" წესდება;
2. სსიპ კოლეჯ „ქართლის" მისია, ხედვა, ღირებულებები;
3. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 1 თებერვლის №002-1/რ ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯ „ქართლის" სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2.1.1 პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას, კერძოდ:

კოლეჯს შემუშავებული აქვს დირექტორის 2022 წლის 1 თებერვლის №002-1/რ ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯ „ქართლის“ სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც აღწერს ტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების პროცედურებს. სტრატეგიული დაგეგმვა არის კოლეჯის მენეჯმენტის დისციპლინარული აქტივობა/ძალისხმევა კოლეჯის სტრატეგიული განვითარების, საქმიანობის ძირითადი მიმართულების განსაზღვრის, მომავალზე ფოკუსირებულ პრიორიტეტებზე ფუნდამენტური გადაწყვეტილებების მიღებისა და მოქმედებების განსაზღვრისათვის, სათანადო რესურსების მობილიზებისათვის, კოლეჯის თანამშრომლებთან, მაკონტროლებელ ორგანოსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან წინასწარი შეთანხმება განსაზღვრული მიზნების მისაღწევად განსახორციელებელ მოქმედებებსა და აქტივობებზე.

1.2.1.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.

1.2.1.2 სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს, კერძოდ:

სსიპ კოლეჯ „ქართლის“ სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს 7 წელზე გაწერილ გუნდური საქმიანობის ციკლურ პროცესს; სტრატეგიული გეგმა მტკიცდება შვიდ წელიწადში ერთხელ, თუმცა მასში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია დამოკიდებული იყოს გარე ან/და შიდა ფაქტორებზე, ასევე სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგებზე. სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტის განხილვის მიზნით, სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით ტარდება ღია პრეზენტაცია ფართო აუდიტორიისათვის საჯაროობის მიზნით. სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილება ხორციელდება გარემო პირობების, საკანონმდებლო ცვლილებების და/ან ორგანიზაციული პრიორიტეტების ცვლილებების შესაბამისად, სათანადო პასუხისმგებელი პირების ჩართულობით. დირექტორის წარდგინებით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეთანხმება ხორციელდება კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოსთან. საბოლოოდ მოწონებულ სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამოქმედო გეგმას ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. დამტკიცებული დოკუმენტები საჯაროდ ქვეყნდება კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე. სტრატეგიულ გეგმაში შეტანილი ცვლილებები, ასევე, ქვეყნდება კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე.

კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი განსაზღვრულია 2 წელიწადში ერთხელ, ხოლო სამოქმედო გეგმის - 6 თვეში ერთხელ. გარდა გეგმიური მონიტორინგებისა, მეთოდოლოგიით ასევე განსაზღვრულია არაგეგმიური მონიტორინგები. გეგმების შესრულების ანგარიშგება/მონიტორინგი მოიცავს მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით რეაგირების მიმართულებებს და პასუხისმგებელ პირებს.

1.2.1.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

1.2.1.3 დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს, კერძოდ:

კოლეჯის სტრატეგიული გეგმის თითოეულ სტრატეგიულ მიზანს გააჩნია თავისი ამოცანები, ხოლო სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია შესაბამისი ამოცანების აქტივობები და შესრულების მაჩვენებელი/ინდიკატორები, ასევე განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული, ჩართული მხარე და რისკები. სტრატეგიული მიზანი უნდა აკმაყოფილებდეს ე.წ. SMART კრიტერიუმებს და უნდა იყოს:

● კონკრეტული (S - specific) - მკაფიოდ უნდა გვიჩვენებდეს რას გულისხმობს მიზანი. საკუთარ თავში არ უნდა შეიცავდეს ზოგად, ინტერპრეტაციისათვის სივრცის მომცემ ტერმინებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- გაზომვადი (M – measurable) - იძლეოდეს მისი მიღწევის თვალსაზრისით არსებული პროგრესის ობიექტურად შეფასების შესაძლებლობას
- მიღწევადი (A – acheavable) - უნდა იყოს მიღწევადი და უზრუნველყოფდეს ორგანიზაციის ხედვასთან მიახლოებას
- რელევანტური (R – relevant) - გამომდინარეობდეს ორგანიზაციული ხედვიდან, უკავშირებოდეს მათ და შესაძლებელი იყოს რეალიზაცია;
- დროში გაწერილი (T – Time-bound) - მიუთითებდეს თუ როდის, რა ვადაში არის მისი შესრულება აუცილებელი.

სსიპ კოლეჯ „ქართლის“ დირექტორის 2022 წლის 08 აპრილის N010-1/რ ბრძანებით დამტკიცებულია დაწესებულების 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელშიც გაწერილია 7 სტრატეგიული მიზანი (კოლეჯის ინსტიტუციური განვითარება, ადგილობრივ და საერთაშორისო შრომით ბაზარზე მოთხოვნადი პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა, სტუდენტური სერვისების განვითარება, ადამიანური რესურსების განვითარება, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ -ტექნიკური ბაზის განვითარება, კოლეჯის ცნობადობის ამაღლება, კოლეჯის ფინანსური მდგრადობის)უზრუნველყოფა. თითოეული სტრატეგიული მიზანი გაწერილია წლების მიხედვით. სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე, კოლეჯში შემუშავებულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რომელიც შედგება სტრატეგიული მიზნის ქვე მიზნის, ამოცანების, ღონისძიებების, შესასრულებელი ვადების, შესრულების ინდიკატორების, პასუხისმგებელი პირებისა და სამუშაო ჯგუფის კომპონენტებისაგან.

1.2.1.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 1 თებერვლის №002-1/რ ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯ „ქართლის“ სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია
- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 8 აპრილის №010-1/რ ბრძანებით დამტკიცებული 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა;
- კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 18 თებერვლის №163497 ბრძანებით დამტკიცებული 2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.2.2.1 პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, კერძოდ:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტის მიხედვით, მონიტორინგის მიზანია სტრატეგიული გეგმის ამოცანებითა და აქტივობებით განსაზღვრული შედეგების შესრულების შემოწმება, ხარვეზების გამოვლენა და რეკომენდაციების განსაზღვრა. საანგარიშგებო პერიოდში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის საბოლოო (ნაერთი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





ანგარიში მოიცავს ინფორმაციას კოლეჯის მიერ დაგეგმილი აქტივობების შესრულების, შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შესრულების შესახებ. გეგმიური მონიტორინგი ხორციელდება სამოქმედო გეგმის შემთხვევაში - 6 თვეში ერთხელ, ხოლო სტრატეგიული გეგმის შემთხვევაში - ყოველ 2 წელში ერთხელ. გეგმიური მონიტრინგის გარდა, ხარისხის მართვის მენეჯერი უფლებამოსილია განახორციელოს არაგეგმიური მონიტორინგები სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მიმდინარეობაზე.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის განხორციელების შეფასების მიზანია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედეგებისა და მიღწევების დეტალური შესწავლა. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის განხორციელების შეფასებაზე პასუხისმგებელია კოლეჯის დირექტორი, თუმცა შეიძლება მოწვეული იყოს გარე შემფასებელიც. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგის შედეგების შეფასებისას განიხილება: რა შესრულდა, რისი განხორციელება შეფერხდა, რა იყო გეგმიდან გადახრის მიზეზები, რომელმა ამოცანებმა დაკარგეს აქტუალობა, რა ახალი ამოცანა დაემატოს გეგმას, შეიცვალოს თუ არა კონკრეტული აქტივობების განხორციელების ვადები და ა.შ. მონიტორინგის შუალედური/წლიური ნაერთი ანგარიშის გათვალისწინებით, სამოქმედო/სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი, კოლეჯის დირექტორის მიერ შექმნილ სამუშაო ჯგუფთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში ახდენს გეგმების კორექტირებას.

იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯი მინისტრის ბრძანებით 2021 წლის სექტემბერში დააფუძნა, დაწესებულებამ 2022 შეიმუშავა სტრატეგიული გეგმა, შესაბამისად, წარმოადგინა 2022 – 2024 წლების შუალედური ანგარიში, სადაც აღწერილია რისი შესრულება, ვერშესრულება, ან ნაწილობრივ შესრულება შეძლო კოლეჯმა, რის საფუძველზეც დააკორექტირა სტრატეგიული გეგმა. *აღსანიშნავია, რომ კოლეჯის 2025 წლის სამოქმედო გეგმაში კოლეჯის აქტივობების შესრულების პერიოდები რიგ შემთხვევაში არარელევანტურადაა გაწერილი, (მაგ.: საავტორიზაციო განაცხადის წარდგენისა და ავტორიზაციის მიღების ვადები), შესაბამისად, რეკომენდებულია, დაწესებულებამ რეალისტურად შეაფასოს გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების ვადები და კორექტირების საჭიროების შემთხვევაში, სწორად დაგეგმოს პორცესები.*

1.2.2.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.

1.2.2.2 პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე, კერძოდ:

იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯი მინისტრის ბრძანებით 2021 წლის სექტემბერში დააფუძნა, დაწესებულებამ 2022 შეიმუშავა სტრატეგიული გეგმა, შესაბამისად, წარმოადგინა 2022 – 2024 წლების შუალედური ანგარიში, სადაც აღწერილია რისი შესრულება, ვერშესრულება, ან ნაწილობრივ შესრულება შეძლო კოლეჯმა, რის საფუძველზეც დააკორექტირა სტრატეგიული გეგმა.

1.2.2.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

1.2.2.3 3.სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია, კერძოდ:

კოლეჯის ადმინისტრაციისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით, ასევე ვებ გვერდის დათვალიერებით დასტურდება, რომ სამოქმედო გეგმების ანგარიშები და ანალიზის დოკუმენტები საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

1.2.2.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 1 თებერვლის №002-1/რ ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯ „ქართლის“ სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 8 აპრილის №010-1/რ ბრძანებით დამტკიცებული 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა;
- კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 18 თებერვლის №163497 ბრძანებით დამტკიცებული 2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- კოლეჯის 2022-2024 წლების სტრაგეგიული გეგმის ანგარიში

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3.1.1.1 პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა, კერძოდ:

სსიპ კოლეჯ „ქართლში“ ფუნქციონირებს დირექტორის 2022 წლის 22 მარტის N#009-2/რ ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელიც არეგულირებს პროფესიული სტუდენტის ისეთი უფლებებისა და გარანტიების უზრუნველყოფას, როგორიცაა პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა, მობილობა, ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარება, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები და სხვა. კოლეჯში ასევე დირექტორის 2022 წლის 23 მარტის N009-7/რ ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი“, რომელიც არეგულირებს პროფესიული სტუდენტის მიერ მიერ ცოდნის ფლობისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობის (კომპეტენციის) შეფასებას, მოდულით წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. აღნიშნული დოკუმენტი ადგენს საჭიროების შემთხვევაში განმეორებითი შეფასების შესაძლებლობასა და ვადებს, სტუდენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





ინფორმირების, გასაჩივრების მექანიზმებს და სხვა. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში მობილობის პირობები არ იყო შესაბამისობაში კანონმდებლობასთან. დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა მიგნება და გამოასწორა უზუსტობა. გარდა ამისა, „მატერიალური რესურსების გამოყენების წესი“, არეგულირებს კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებისა და მსმენელებისთვის სწავლის ნორმალური პირობების შექმნას, მატერიალური რესურსებით შეუფერხებლად სარგებლობის უზრუნველყოფას. ამ მიზნის მისაღწევად დაწესებულება უზრუნველყოფს კოლეჯის შენობა-ნაგებობების, კაბინეტ-ლაბორატორიების, ბიბლიოთეკის, სასწავლო სახელოსნოების, კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს, თანამშრომელთა დადგენილი წესის შესაბამისად, პროფესიულ საერთო სარგებლობის მიერ კოლეჯის მატერიალური რესურსებით, სივრცეებით სარგებლობის ხელმისაწვდომობას (პროფესიული სტუდენტების არარსებობის გამო აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდა.

3.1.1.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.

3.1.1.2 პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს, კერძოდ:

კოლეჯის პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება გამოხატავს მზაობას დაეხმაროს სტუდენტს ადაპტირებაში, სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე კოლეჯი უზრუნველყოფს ახლადჩარიცხული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის საინფორმაციო/გაცნობითი/საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზებას, სადაც განიხილება სასწავლო პროცესის, პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და ვალდებულებების, პროგრამის შინაარსის, პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების შეფასების სისტემის, პრაქტიკის ობიექტზე სწავლებისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები. გარდა ამისა, შეხვედრაზე სტუდენტები გაეცნობიან ქცევისა და ეთიკის ნორმებს, უსაფრთხოების წესებს, პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმებს, რასაც პროფესიული სტუდენტები ხელმოწერით დაადასტურებენ.

3.1.1.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

3.1.1.3 პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით, კერძოდ:

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი“, მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა შედეგის დადასტურების გასაჩივრების პროცედურებს. დოკუმენტი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის მიერ აპელაციის განხილვის პროცედურებს, ვადებსა და პროცესში ჩართული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით.

3.1.1.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.

3.1.1.4 პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა, კერძოდ:

ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა პროფესიულ სტუდენტთან, მათ შორის პროფესიული სტუდენტის კანონიერ წარმომადგენელთან, გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში, რომლის შინაარსი თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულ დებულებებთან.

3.1.1.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.

3.1.1.5 პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 22 მარტის N009-4/რ ბრძანებით დამტკიცებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომელიც არეგულირებს პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმებსა და სპეციფიკას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს პროფესიული სტუდენტის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დაკმაყოფილების გზებს, პროფესიული სტუდენტის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომელიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება შესაძლოა დადგეს სსსმ პირის ჩარიცხვის, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის, პროფესიული სტუდენტის მობილობისა და სხვა კანონმდებლობით დაშვებულ შემთხვევებში. გეგმის შემუშავებაში შესაძლებელია პროფესიული სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენელის ჩართულობა.

3.1.1.5 სტანდარტი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სსიპ კოლეჯ ,,ქართლის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევისადა ჩარიცხვის წესი;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი;
- პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი;
- კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებების ნიმუში;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3.2.1.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება, კერძოდ:

კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუშის, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვასა და სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირებისთვის შემუშავებული ფუნქციების თანახმად, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მიიღოს აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერა.

პროფესიული სტუდენტს აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, მისი საჭიროებიდან გამომდინარე, უფლება აქვს მიიღოს სათანადო კონსულტაცია პროფესიული მასწავლებლისგან. დაწესებულება პერიოდულად გამართვას შეხვედრებს პროფესიულ სტუდენტებთან მათი მხარდაჭერის მიზნით. გარდა აღნიშნულისა, კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებების კვლევას და მიღებული შედეგების შესაბამისად, სათანადო რეაგირებას.

3.2.1.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.

3.2.1.2 პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, კერძოდ:
კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტებით დასტურდება, რომ დაწესებულებაში დასაქმებული თითოეული თანამშრომელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტის ადაპტირების პროცესს. მიაწვდის ინფორმაციას პროფესიული საგანმანათლებლო პრგორამის სტრუქტურის, შინაარსისმ მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და სხვა დეტალების შესახებ.

3.2.1.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

3.2.1.3 პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, კერძოდ:
კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, ასევე სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი არეგულირებს სასწავლო პროცესის ორგანიზების ისეთ საკითხებს, როგორიცაა სასწავლო ცხრილები, ცვლები, მეცადინეობისა და შესვენების ხანგრძლივობა, სწავლის შედეგების შეფასების პროცედურები, არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების ან/და არგამოცხადების შემთხვევაში გადაბარებასთან დაკავშირებულ მექანიზმებს, გაცდენილი საათების საპატიოდ ჩათვლის საკითხებს და სხვა. აღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილია განცხადებით მიმართვის, გადაბარების, გასაჩივრების კომპონენტები.

3.2.1.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.

3.2.1.4 პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას კერძოდ:
კოლეჯის პროფორიენტაციის მექანიზმები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის საკითხებსაც. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ხელშეწყობას დასაქმებასთან, ასევე სხვა არაფორმალური აქტივობების განხორციელებასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კოლეჯი გეგმავს სხვადასხვა ღონისძიებების გამართვას, რაც ხელს შეუწყობს პროფეიული სტუდენტების განვითარებას.
3.2.1.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2.1.5 პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას, კერძოდ:
კოლეჯში შემუშავებულია „პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგია“, რომლის მიზანია შეფასდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანობა პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების პერსპექტივიდან. კვლევა მიმართულია პროგრამების შინაარსის, სწავლების ხარისხის, პრაქტიკულობის, კმაყოფილების, დასაქმების მაჩვენებლებისა და შემდგომი საჭიროებების გამოვლენისკენ, რათა კოლეჯმა განახორციელოს მიზნობრივი გაუმჯობესებები. კვლვის კითხვარი მრავალკომპონენტიანია, რომელიც იკვლევს კოლეჯის საქმიანობის შეფსებას პროფესიული სტუდენტისა და კურსდამთავრებულის მხრიდან, რის შემდეგაც კოლეჯი შეაჯამებს შედეგებს და გეგმავს შემდგომ ნაბიჯებს, რაც გააუმჯობესებს პროფესიული სტუდენტის მომსახურებას.

3.2.1.5 სტანდარტი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი;
- პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი;
- კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებების ნიმუში;
- კოლეჯ „ქართლის“ პროფესიული ორიენტაციის მექანიზმები;
- კოლეჯ „ქართლის“ პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგია;
- კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3.2.2.1 კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის, კერძოდ:

კოლეჯ „ქართლის“ პროფესიული ორიენტაციის მექანიზმები ითვალისწინებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურების ხელმისაწვდომობას არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის. კარიერული მხარდაჭერა ფუნქციურადაც ევალება პროფორიენტაციასა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელ პირს. პროფორიენტაციასა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხუსმგებელი პირი ვალდებულია ინტენსიური კავშირი ჰქონდეს კერძო სექტორთან და რეგულარულად მოაგროვოს ინფორმაცია ვაკანსიებთან დაკავშირებით.

3.2.2.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2.2.2 პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, კერძოდ:

კოლეჯ „ქართლის“ პროფესიული ორიენტაციის მექანიზმების თანახმად, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია დაწესებულების პარტნიორი კომპანიებისა და მათ მიერ შემოთავაზებული დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. დაწესებულება მუდმივად უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთათვის საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული, მათი პროფილის შესაბამისი ვაკანსიების შესახებ განახლებული ინფორმაციის მიწოდებას და საჭიროების შემთხვევაში, ფორმალურ საკითხებთან მიმართებით სათანადო მხარდაჭერას. კოლეჯი ხელს უწყობს სხვადასხვა ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების, სააგენტოებისა და ასოციაციების მიერ მოწყობილ კონკურსებში, ტრენინგებში, კონფერენციებში, შეხვედრებში, დაწესებულება კურსდამთავრებულებს სთავაზობს დასაქმების შესაძლებლობებს ვაკანსიების მიხედვით. პროფორიენტაციისა და კარიერის მართვის მენეჯერის მიერ ინფორმაცია არსებული ვაკანსიების შესახებ განთავსდება საინფორმაციო დაფაზე განცხადებების სახით ან ინფორმაცია განთავსდება ვებ გვერდსა და სოციალური ქსელის გვერდზე.

3.2.2.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

3.2.2.3 პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით, კერძოდ:
კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია ითვალისწინებს კურსდამთავრებულთა გამოკითხვას დასაქმებასთან დაკავშირებით იმ კურსდამთავრებულებზე, რომლებმაც სწავლა კოლეჯში დაასრულეს არანაკლებ 1 და არაუმეტეს 2 წელზე მეტი ხნის წინ.

3.2.2.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.

3.2.2.4 კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს, კერძოდ:
კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრებითა და დოკუმენტაციის გაცნობით დასტურდება, რომ დაწესებულება კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგებს გაანალიზებს, რომელსაც გამოიყენებს მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

3.2.2.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი;
- კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებების ნიმუში;
- კოლეჯ „ქართლის“ პროფესიული ორიენტაციის მექანიზმები;
- კოლეჯ „ქართლის“ პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგია;
- კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

4.1.1.1 პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული, კერძოდ:

სსიპ კოლეჯ „ქართლის“ ძირითადი საქმიანობის განხორციელებისა და სხვადასხვა პროცესების მართვის უზრუნველყოფისთვის შექმნილი საშტატო პოზიციები /საშტატო ნუსხა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას. კოლეჯის ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს თხუთმეტ საშტატო პოზიციას და თითეულ პოზიციაზე დასაქმებულია მხოლოდ ერთი პირი. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს სტრუქტურა, რომელიც შედგება დირექციის,ადმინისტრაციის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ტექნიკური პერსონალისაგან. სტრუქტურის შესაბამისად კი, კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის N001-1/რ ბრძანებით (ბოლო ცვლილება 16.10.2025) დამტკიცებულია „ადმინისტრაციის თანამშრომლების სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომელშიც თითოეული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია, ზოგადი ინფორმაცია, რომელიც მოიცავს პოზიციის დასახელებას, ანაგარიშვალდებულებას უშუალო ხელმძღვანელთან, დაქვემდებარებულ პერსონალს, ფუნქცია-მოვალეობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლებიც საჭიროა კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად (განათლება, სამუშაო გამოცდილება, კომპეტენციები, უნარები). ხაზგასასმელია, ის გარემოება, რომ ცალკეულ შემთხვევაში საშტატო განრიგისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტებს შორის შეუსაბამობა იყო პერსონალის პოზიციების სახელწოდებებში. დაწესებულებამ ექსპერტთა მიგნება გაითვალისწინა და ცვლილება შეიტანა სამუშაო აღწერილობების დოკუმენტში. მოცემული დოკუმენტი შესაბამისი პოზიციის მიხედვით, ხელმოწერილი სახით ახლავს ყველა თანამშრომელთან გაფორმებულ ხელშეკრულებას დანართის სახით.

ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შემოწმდა თითოეული ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმე და შეფასდა პერსონალის მიერ დაკავებული პოზიციებისთვის წარმოდგენილი კვალიფიკაციის დოკუმენტების შესაბამისობა მარეგულირებელი დოკუმენტით გაწერილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

კოლეჯს შემუშავებული აქვს სტრუქტურა, რომელიც განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზეც და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისათვის. დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ძირითად პერსონალს: დირექცია, ადმინისტრაცია, დამხმარე და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





მომსახურე პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებლები, შტატგარეშე თანამშრომლები. კოლეჯის მიერ თანამშრომლების დანიშვნა და მათი უფლებების განსაზღვრა ხორციელდება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობის შესაბამისად.
დაწესებულის პერსონალთან ინტერვიუირებით დადასტურდა, რომ ისინი კარგად იცნებენ და მკაფიოდ აქვთ გააზრებული მათი ფუნქცია-მოვალეობები.

4.1.1.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.

4.1.1.2 პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, კერძოდ:

კოლეჯში დასაქმებული პირების ფუნქციები და მოვალეობები მოიცავს ყველა იმ თემას, რაც კოლეჯის ძირითად საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს უკავშირდება. სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში იკვეთება, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელება ხელშეწყობილია ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის გადანაწილებით.

4.1.1.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

4.1.1.3 პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, კერძოდ:

დაწესებულების „ადმინისტრაციის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“დოკუმენტით განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობები, რომელიც მოიცავს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი სტანდარტების მოთხოვნების შესახებ კოლეჯის პერსონალის კონსულტირებას, ხარისხის უზრუნველყოფის, როგორც პროცესის დაგეგმვას, კოლეჯის რესურსების სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგსა და შეფასებას, კოლეჯში მიმდინარე პროცესების სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგსა და შეფასებას, კოლეჯის მიერ გაწეული მომსახურეობის ხარისხის მონიტორინგსა და შეფასებას, სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგის ანგარიშების მომზადებას და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდაციების მომზადებასა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასხუსმგებელი პირი, არცერთ მიმდინარე პროცესში არ არის ჩართული და ის უზრუნველყოფს მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებასა და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად რეკომენდაციების გაცემას.
კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფას ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც ანგარიშვალდებულია კოლეჯის დირექტორის წინაშე. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესში ასევე ჩართულია ადმინისტრაციული პერსონალი (დირექტორი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, პროფესიული ორინტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, პროგრამების განმახორციელებლები, ასევე კოლეჯის დამხმარე პერსონალი. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს შემუშავებული აქვს სამომქედო გეგმა, რომლის მიხედვითაც ახორციელებს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგს. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას სამოქმედო გეგმაში გარკვეულ აქტივობებში (მაგ.: კოლეჯის რეგულაციების გადახედვა) სამუშაო ჯგუფის წევრად ხარისხის მეჯერი ჰყავთ განსაზღვრული, რაც ინტერესთა კონფლიქტს იწვევს. დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული გარემოება და ცვლილება შეიტანა სამოქმედო გეგმაში.
ზემოთაღნიშნული პროცესების განხორციელება შესაბამისი რეგულაციების მიხედვით დასტურდება ადმინისტრაციული პესრონალის ინტერვიუირების შედეგად.

4.1.1.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ კოლეჯ“ქართლის” სტრუქტურა;
- სსიპ კოლეჯ“ქართლის” 2025 წლის დამტკიცებული საშტატო ნუსხა;
- სსიპ კოლეჯ ‘ქართლის” დირექტორის 2025 წლის 16 ოქტომბრის N 1356428 ბრძანებით დამტკიცებული „თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები”;
- სსიპ კოლეჯ “ქართლის” პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 18 თებერვლის №163497 ბრძანებით დამტკიცებული 2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები.

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

4.1.2.1 პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად, კერძოდ:

სსიპ კოლეჯ „ქართლის“ შინაგანაწესით განსაზღვრულია, დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის შრომითი ურთიერთობების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, დაწესებულებას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი“, რომელიც არეგულირებს ადამიანური რესურსების მართვის მიზნებს, ამოცანებს, კვალიფიციური კადრების შერჩევის პროცედურებს, დასაქმების, თანამშრომელთა შენარჩუნებისა და სხვა საკითხებს.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ეფუძნება ადამიანური რესურსების მართვის უწყვეტ ციკლს, რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

1. ორგანიზება/დაგეგმვა: ორგანიზების/დაგეგმვის მიმართულება მოიცავს ორგანიზაციული განვითარების, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავებისა და თანამშრომელთათვის პერსონალის სამუშაო აღწერილობის შემუშავება/განახლების პროცესებს;
2. ორგანიზაციაში შემოსვლა: ორგანიზაციაში შემოსვლის მიმართულება მოიცავს კადრების მოზიდვის, შერჩევის და ორგანიზაციაში სოციალიზაციის პროცესებს;
3. სამუშაოს მართვა: ორგანიზაციაში სამუშაოს მართვა მოიცავს შეფასების, დისციპლინური პასუხისმგებლობის, წახალისების, განვითარების პროცესებს;
4. ორგანიზაციიდან გასვლა: ორგანიზაციაში გასვლის მიმართულება გულისხმობს ხელშეკრულების შეწყვეტის პროცესებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის ძირითადი მიდგომები დასაქმებულებთან მიმართებით, შემდეგია: დასაქმებულთა მუშაობის პირობების განსაზღვრა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენება, მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლება, შრომის დისციპლინის უზრუნველყოფა და განმტკიცება, შრომის სამართლიანი ანაზღაურება, დასაქმებულთათვის უსაფრთხო და ჯანსაღი შრომის პირობების შექმნა, სამსახურში ეთიკური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა. კოლეჯის თანამშრომელთა შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი", კოლეჯის შინაგანაწესით, თანამშრომელთან გაფორმებული ხელშეკრულებით და სხვა მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად.

დაწესებულებას თითოეული პოზიციისთვის შემუშავებული აქვს სამუშაო აღწერილობები, რომლიც წარმოადგენს თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების განუყოფელ ნაწილს და აღნიშნულ დოკუმენტზე ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს, თანხმობას იმ ფუნქცია-მოვალეობებისა და პასუხიმგებლობების შესრულებაზე, რომელიც მისი თანამდებობისთვის არის გათვალისწინებული. სამუშაოს სანიმუშოდ ან არაჯეროვნად შერულება შესაძლოა გახდეს შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული შესაბამისი ზომების - წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. შტატგარეშე მოსამსახურე პერსონალის შემთხვევაში ფუნქცია-მოვალეობები შესაძლებელია განსაზღვრული იყოს მხოლოდ დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში.
დაწესებულებაში პერსონალის აყვანა შესაძლებელია, როგორც კონკურსის გზით ასევე, პირდაპირი დანიშვნის გზით დირექტორის გადაწყვეტილებით.
კოლეჯის შინაგანაწესით დარეგულირებულია პერსონალთან შრომითი ურთიერთობები, რომელიც მოიცავს სამუშაო საათებს, შესვენების და დასვენების პერიოდს, ზეგანაკვეთურ სამუშაოს შემთხვევებს, დასაქმებულის მიერ სამუშაოს გაცდენილი დროის საპატიოდ ან არასაპატიოდ ჩათვლას, დასაქმებულის წინასწარ ცნობილი ან წინასწარ უცნობი მიზეზებით სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევებს, შრომითი ურთიერთობების შეწყვეტისა და შეჩერების საკითხებს, დასაქმებულის შვებულებას, შეთავსებით მუშაობის უფლებას, დასაქმებულის მივლინებას, დასაქმებულის უფლება-მოვვალეობებსა და უფლებამოსილებებს, დასაქმებულის წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობების მექნიზმებს, დასაქმებული შრომის ანაზღაურების პოლიტიკას და სხვა. დაწესებულების შინაგანაწესით გაწერილი მექანიზმები არ ეწინააღმდგება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსის მოთხოვნებს.
კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს პერსონალის კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევას, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯი ავტორიზაციის მოპოვების პროცესშია, ამჯერად მხოლოდ რეგულაციები და მექანიზმები შეფასდა.

4.1.2.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.

4.1.2.2 პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, კერძოდ:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, სადაც გაწერილია პროცედურები, რომლებიც ხელს უწყობს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას, ობიექტურობისა და გამჭირვალობის პრინციპის დაცვით. პერსონალის შერჩევა ხორციელდება კოლეჯის მიერ თითოეული თანამდებობისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, სტრუქტურული პირის ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევისას კი, დგინდება მისი კვალიფიკაციის შესაბამისობა „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის და შესაბამისი სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან, *თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში მითითებული იყო არარელევანტური მოთხოვნები, მაგ.: ქსელისა ადმინისტრატორისა და საქმისმწარმოებლის პოზიციაზე, სავალდებულო მოთხოვნად უმაღლესი განათლებაა მითითებული, მაშინ როდესაც ამ მიმართულებით თავისუფლადაა შესაძლებელი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირის დასაქმება. შესაბამისად, რეკომენდებულია, დაწესებულებამ სწორად გაიაზროს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში პროცედურებს კოლეჯი ახორციელებს კოლეჯის ან/და დასაქმების სპეციალურ ვებ-გვერდზე (www.hr.gov.ge). განცახდებაში მითითებულია პოზიციის დასახელება, სამუშაო აღწერილობა/ფუნქცია-მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კონკურსანტების მიერ კონკურსში მონაწილეობის მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა, დოკუმენტების წარმოდგენის ვადა და ადგილი, კონკურსის შედეგების გამოცხადების ვადები, საკონტაქტო ინფორმაცია და საჭიროების შემთხვევაში სხვა ინფორმცია. კოლეჯის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს, როგორც გარე აპლიკანტებს, ასევე კოლეჯის თანამშრომლებს. ვაკანტური თანამდებობის დაკავება დაინტერესებული პირის (აპლიკანტის) მიერ წარმოებს დოკუმენტაციის/საბუთების გადარჩევისა და გასაუბრების შედეგების საფუძველზე, რომელსაც განიხილავს და გასაუბრების შემდგომ გადაწყვეტილებას იღებს დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული კომისია.

დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის დროს შემოწმდა პერსონალის შერჩევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, ორივე შემთხვევაში: ერთი კონკურსის გზით, მეორე კი პირდაპირ დირექტორის გადაწყვეტილებით. კონკურსის წესით შერჩევის შემთხვევაში დაწესებულებას გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია დასაქმების პროტალზე (www.hr.gov.ge), კონკურსის გამოცხადების შემდგომ, კოლეჯის თანამშრომელთა (ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებლები) შერჩევის მიზნით, დირექტორის 2024 წლის 29 იანვრის ბრძანებით შექმნილია საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან: კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, იურისტი/ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი და სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი. დაწესებულების დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ საკონკურსო პირობები შესაბამისობაშია კანონმდებლობასა და გამჭვირვალობის პრინციპთან. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესსაც.

4.1.2.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

4.1.2.3 პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, კერძოდ:

კოლეჯს შემუშავებული აქვს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები საშტატო განრიგით გათვალისწინებული ერთეულების შესაბამისად. კოლეჯის პერსონალის პირადი საქმეებით დადგინდა, რომ მათი კვალიფიკაცია და/ან სამუშაო გამოცდილება შეესაბამება კოლეჯის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

4.1.2.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.

4.1.2.4 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, კერძოდ:

კოლეჯი თავისი საქმიანობისა და მისიის შესრულების მიზნით, მუშაობს გუნდურად. იქმნება სამუშაო ჯგუფები, გარკვეული გადაწყვეტილებები მიიღება კომისიური წესით. დაწესებულებამ წარმოადგინა არაერთი სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანებები, რითაც დასტურდება რომ ცალკეული პროცესები იგეგმება და ხორციელდება გუნდურობის პრინციპით. კოლეჯის პერსონალმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ კოლეჯში ტარდება შეხვედრები, სადაც ხდება პრობლემური საკითხების განხილვა, მათი გადაჭრის გზების მოძიება, გადაწყვეტილებების მიღება.

4.1.2.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯ“ქართლის” სტრუქტურა;
- სსიპ კოლეჯ“ქართლის” 2025 წლის დამტკიცებული საშტატო ნუსხა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ კოლეჯ ‘ქართლის” დირექტორის 2025 წლის 16 ოქტომბრის N 1356428 ბრძანებით დამტკიცებული „თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები”;
- სსიპ კოლეჯ “ქართლის” პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 18 თებერვლის №163497 ბრძანებით დამტკიცებული 2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 31 დეკემბრის N004/რ ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი;
- პერსონალის შერჩევის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიებისა და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება-განხილვის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფების მასალები
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

4.2.1.1 პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას, ერძოდ:

სსიპ კოლეჯ „ქართლს“ შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლითაც გათვალისწინებულია კოლეჯში პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარება. პერსონალის საქმიანობის შეფასება წარმოადგენს კოლეჯის ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის ნაწილს, რომელიც დაეხმარება დასაქმებულებს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები ეფექტიანად განახორციელონ. პერსონალის საქმიანობის შეფასება ხელს უწყობს, როგორც თანამშრომელთა მიერ საკუთარი მიზნებისა და ამოცანების შემუშავებას, ასევე ადმინისტრაციის მხრიდან თანამშრომელთა საქმიანობის რეგულარულ შეფასებას. პერსონალის შეფასებისთვის გამოიყენება პერსონალის შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კითხვარები, პერსონალის საქმიანობის შეფასება ხორციელდება ისეთი კრიტერიუმებით, როგორიცაა საქმის ცოდნა, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების გადაჭრის უნარი, შესრულებული სამუშაოს ხარისხი, პროდუქტიულობა, საიმედოობა (მოვალეობების სტაბილური შესრულება, დადგენილი ვადების დაცვა, კოლეჯის პოლიტიკისა და პროცედურების დაცვა), სამსახურეობრივი დისციპლინა, კომუნიკაციის უნარი, გუნდური მუშაობის უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი. შეფასების შედეგებს ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად განიხილავს და ამზადებს დასკვნას, რომელსაც წარუდგენს დირექტორს. შეფასების შედეგები შესაძლოა გახდეს პერსონალის წახალისების საფუძველი შინაგანაწესით განსაზღვრული წესების შესაბამისად. არადამაკმაყოფილებელი დასკვნის შემთხვევაში, უნდა მოხდეს შეფასების ანგარიშში მითითებული საქმიანობის გაუმჯობესების რეკომენდაციების განხორციელების გეგმის შემუშავება. პერსონალის შეფასებისთვის ასევე გამოიყენება კოლეჯის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები და მათი ანგარიშები, მონიტორინგის შედეგები.

კოლეჯის პერსონალის საქმიანობის შეფასების მიზნებია კოლეჯის პერსონალის საჭიროებებისა და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და მათი გამოსწორების გზების დასახვა ასევე კოლეჯის პერსონალის ძლიერი მხარეების გამოვლენა და განვითარების ხელშეწყობა. იმდენად, რამდენადაც კოლეჯი ავტორიზაციის სტატუსის მაძიებელია, ექსპერტთა ჯგუფმა მხოლოდ პერსონალის შეფასების მექანიზმების შემოწმება შეძლო.

აღნიშნული შეფასებები (შევსებული ფორმები, როგორც თვითსეფასების ასევე, უშუალო ხელმძღვანელის მიერ შევსებული) და საჭიროებათა/კმაყოფილების კვლევის ანგარიშები ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინეს დაწესებულების თანამშრომლებმა და ინტერვიუერებისას დაადასტურეს, რომ აღნიშნული პრაქტიკა მათ პროფესიულ განვითარებაზე დადებითად აისახება და ეს პროცესი არ არის ორიენტირებული მხოლოდ დოკუმენტის შექმნაზე, არამედ აღნიშნული შეფასებების შედეგების გათვალისწინებით, მაგალითად, რამდენიმე თანამშრომლის დაწინაურება და სხვა პოზიციებზე გადანიშვნა მოხდა.

4.2.1.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.

4.2.1.2 პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით, კერძოდ:

სსიპ კოლეჯ „ქართლის“ პერსონალის განვითარება კოლეჯის ადამიანური რესურსის მართვის არსებითი ნაწილია. პროფესიული განვითარების მიზანია კოლეჯში დასაქმებულთა პროფესიული უნარ - ჩვევების გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს საქმიანობის ეფექტიანად შესრულებას. პროფესიული განვითარების საფუძველი შეიძლება იყოს კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის საჭიროებები, გარემოში არსებული ცვლილებები (ტექნოლოგიური, საკანონმდებლო...), ორგანიზაციული შედეგები (შეფასების შედეგები, კადრების დენადობა...), თანამშრომელთა ინდივიდუალური პროფესიული საჭიროებები და ინიციატივები. პროფესიული განვითარების საჭიროების საფუძვლიდან გამომდინარე, ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი, თანამშრომლის უშუალო ხელმძღვანელისა და ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად, გეგმავს პროფესიული განვითარების საჭიროებების კვლევას. კვლევისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც თვისებრივი (ინტერვიუ ან ფოკუს-ჯგუფი დასაქმებულებთან), ასევე რაოდენობრივი მეთოდები. ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი, თანამშრომლის უშუალო ხელმძღვანელისა და ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად განსაზღვრავს პერსონალის განვითარების მეთოდების/აქტივობების ფორმასა (ტრენინგები, სემინარები, კონფერენციები და ა.შ.) და თემატიკას. შერჩეული მეთოდის/აქტივობის შესახებ აგროვებს ინფორმაციას (ფინანსური ხარჯები, ხანგრძლივობა, ადგილმდებარეობა და ა.შ.), უზრუნველყოფს საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას და ათანხმებს დირექტორთან. ის ასევე, უზრუნველყოფს პერსონალის ჩართულობას პროფესიული განვითარების აქტივობებში, იღებს მონაწილეთა უკუკავშირს აღნიშნული ღონისძიებების შესახებ და აფასებს აქტივობის ეფექტიანობას. შემდეგ აწარმოებს პროფესიული განვითარების აქტივობებში თანამშრომელთა მონაწილეობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებასა და შენახვას. ინახავს პროფესიული აქტივობების ამსახველ დოკუმენტებს (მიმოწერებს ელ.ფოსტით, ნაბეჭდ-ფოტო-ვიდეო მტკიცებულებებს, სერტიფიკატების, სიგელების..) პერსონალის პროფესიული განვითარების შესახებ ინფორმაციას კოლეჯის დირექცია იყენებს პერსონალის კარიერული წინსვლის გეგმების შემუშავებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება ჯერ არ არის ავტორიზებული, პროგფფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ჩატარდა შეხვედრები სასწავლო პროცესის ორგანიზების საკითხებთან, სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით.

4.2.1.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.

4.2.1.3 პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით, კერძოდ:

დაწესებულება პირველადი ავტორიზაციის მოპოვების პროცესშია და შესაბამისად, მიმდინარე ეპატზე არ ახორციელებს გრძელვადიან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, პროგრამების შემუშავების პროცესში პროფესიული განათლების მასწავლებლებთან კოლეჯის წარმოამდგენლებმა ჩაატარეს სამუშაო შეხვედრები, რომელიც მიზნად ისახავდა მათთვის პროფესიული განათლების სისტემის, პრიციპებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას. აღნიშნული შეხვედრების შეასხებ პროფესიული განათლების მასწავლებმა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ექსპერტთა ვიზიტის დროს გასაუბრებისას დაადასტურეს და წარმოადგინეს შესაბამისი მტკიცებულებები.

დაწესებულების შინაგანაწესის თანახმად, დასაქმებულის მიერ დაკისრებულ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი შრომისთვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის მქონე დავალების შესრულებისათვის, წახალისების ფორმად დაწსებულებას განსაზღვრული აქვს სხვადასხვა აქტივობა, მათ შორის თანამდებობრივი დაწინაურება. პერსონალის პირადი სქმეების შესწავლის პროცესში რამდენიმე თანამშრომელს დაკისრებული მოვალეობის სანიმუშო შესრულებისათვის გამოცხადებული ჰქონდა მადლობა და წარმოდგენილი იყო დახასიათება, ასევე, დაწესებულების ფუნქციონირების პერიოდში რამდენიმე თანამშრომლის დაწინაურების შესახებაც იყო წარმოდგენილი დოკუმენტები.

4.2.1.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.

4.2.1.4 პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან, კერძოდ:

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, ინტეგრაციის პროცესის მიზანია ხელი შეუწყოს ახალდანიშნული თანამშრომლის სამუშაო პროცესებში სწრაფ და ეფექტიან ჩართვას, სასწავლებლის მიზნების, სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების, ორგანიზაციული პროცედურების და წესების შესახებ ინფორმირებას და კოლეჯში ადაპტაციას. ახალდანიშნული თანამშრომლის ინტეგრაციის პროცესის განხორციელებაზე პასუხიმგებელია ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი. ინტეგრაციის პროცესის ფარგლებში პასუხისმგებელი პირი ახალდანიშნულ თანამშრომელს აცნობს კოლეჯის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, მიმდინარე ერთწლიან და სტრატეგიულ გეგმებს, ასევე შინაგანაწესის მოთხოვნებსა და კოლეჯში მოქმედ პროცედურებსა და წესებს; აცნობს სამუშაო აღწერილობას და და განუმარტავს თუ რას გულისხმობს არსებული სამუშაო და რა მოთხოვნები იქნება წაყენებული მისადმი, როგორ და რა კრიტერიუმებით შეფასდება იგი მომავალში; საჭიროების შემთხვევაში, ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი და უშუალო ხელმძღვანელი, ერთობლივად ადგენენ კონკრეტულ ტრენინგ-პროგრამას ახალი თანამშრომლისთვის, სადაც მითითებულია რა დამატებითი ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა შეიძინოს თანამშრომელმა შემდგომი მუშაობისთვის;

კოლეჯის პერსონალთან გასაუბრებით დასტურდება, რომ დაწესებულება თანამშრომელთა მარტივი ინტეგრაციისათვის ქმნის კეთილგანწყობილ და კოლეგიალურ გარემოს, როგორც ფიზიკური გარემოს თვალსაზრისით ასევე, ფსიქო-ემოციური თვალსაზრისით.

4.2.1.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.

4.2.1.5 პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები, კერძოდ:

იმდენად, რამდენადაც დაწესებულება პირველადი ავტორიზაციის მოპოვების პროცესშია, ამ ეტაპზე აქტიურად არ მიმდინარებს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებასთან დაკავშირებული პროცესები, თუმცა კოლეჯის „შინაგანაწესში“ გაწერილია დასაქმებულთათვის სამსახურში საქმიანი, სასწავლო და შემოქმედებითი გარემოს შექმნის, მათი ინიციატივებისა და აქტივობების წახალისების მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.2.1.5 სტანდარტი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯ“ქართლის” სტრუქტურა;
- სსიპ კოლეჯ“ქართლის” 2025 წლის დამტკიცებული საშტატო ნუსხა;
- სსიპ კოლეჯ ‘ქართლის” დირექტორის 2025 წლის 16 ოქტომბრის N 1356428 ბრძანებით დამტკიცებული „თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები”;
- სსიპ კოლეჯ “ქართლის” პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 18 თებერვლის №163497 ბრძანებით დამტკიცებული 2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 31 დეკემბრის N004/რ ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკიოს დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.1.1.1 დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, კერძოდ:

საჯარო რეესტრის ამონაწერითა და შენობის აზომვითი ნახაზით დასტურდება, რომ სსიპ კოლეჯ „ქართლის“ სარგებლობაშია ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში ახალი ბანას ქ. N15 - ში მდებარე 7444.00 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთზე მდებარე ორი შენობა - ნაგებობა (ს/კ 243919033) - N1 შენობის საერთო ფართი 4867.83 კვ.მ - ს, ხოლო N2 ნაგებობის საერთო ფართია 167.5 კვ.მ.

ექსპერტების მიერ დათვალიერებულ იქნა და დადასტურდა ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო სივრცეების/ფართების ფლობა, რომლის თანახმად არსებული ფართი განაწილებულია შემდეგნაირად:

- თეორიული სწავლების აუდიტორიები (პირველი, მეორე, მესამე სართული);
- კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები (პირველი, მეორე, მესამე სართული);
- დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტები/სახელოსნოები (პირველი, მეორე, მესამე სართული);
- ადმინისტრაციული სივრცე (პირველი, მეორე სართული);
- სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის (მეორე სართული);
- სამუშაო სივრცე პროფესიული სტუდენტებისთვის (პირველი სართული);
- დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის (პირველი, მესამე სართული);
- სპორტული აქტივობის სივრცე (მეორე სართული);
- სანიტარიული კვანძები, მათ შორის შშმ პირთათვის (პირველი, მეორე, მესამე სართული);
- ბიბლიოთეკა (მესამე სართული);
- არქივი (მეორე სართული);
- საკონფერენციო დარბაზი (პირველი სართული);
- საწყობი/სათავსო ((პირველი, მეორე სართული);
- კვებისთვის განკუთვნილი სივრცე (პირველი სართული).

დაწესებულების შენობა-ნაგებობაში განთავსებული სივრცეები აღჭურვილია სათანადო მატერიალური რესურსით დანიშნულების შესაბამისად.

5.1.1.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.

5.1.1.2 დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის, კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების ინფრასტრუქტურის, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეების და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, კოლეჯში შემუშავებულია და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,სსიპ კოლეჯ „ქართლის“ მატერიალური რესურსების გამოყენების წესი'', აღნიშნული წესისა და კოლეჯის წარმომადგენლებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების განმარტების თანახმად, კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს და თანამშრომლებს უფლება აქვთ გამოიყენონ კოლეჯის თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობის აუდიტორიებში, კაბინეტებსა და სასწავლო სახელოსნოებში არსებული ინვენტარი (აღჭურვილობა) და კომპიუტერული ტექნიკა, ისარგებლონ კოლეჯის ბიბლიოთეებით სათანადო წესების დაცვით, ისარგებლონ რეკრეაციული სივრცეებით.

5.1.1.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

5.1.1.3 დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, კერძოდ:

კოლეჯს შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები, რომელიც არეგულირებს ტერიტორიის, დერეფნების, სალექციო ოთახების, ლაბორატორიების, სველი წერტილების/ტუალეტების დასუფთავების პროცედურებსა და პერიოდულობას. კოლეჯში დასაქმებულია 3 დამლაგებელი და 1 მედდა. მათი სამუშაო აღწერილობებით განსაზღვრულია, რომ სწორედ ისინი არიან სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელნი, საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში. აღნიშნული დასტურდება ვიზუალური დათვალიერებითაც.

5.1.1.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.

5.1.1.4 შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, კერძოდ:

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, მათ შორის ელექტრო ენერგიისა და ბუნებრივი აირის მოხმარების დამადასტურებელი ქვითრებითა და დაწესებულების შენობა-ნაგებობაში განთავსებული ფართის ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ დაწესებულების საკუთრებაში არსებული კორპუსი უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის ერთიანი სისტემით.

5.1.1.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.

5.1.1.5 დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები, კერძოდ:

დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოების უზრუნველყოფის მექანიზმები, კერძოდ: დასაქმებულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და კოლეჯის მიერ დაწესებულ პირობებს. კოლეჯის შინაგანაწესით გათვალისწინებულია დაწესებულების თანამშრომლებისათვის უსაფრთხო სამუშაო პირობების შექმნის საკითხები. კოლეჯი, როგორც დამსაქმებელი იღებს ვალდებულებას, დასაქმებულს ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკის ექსპლუატაციასთან, სანიტარულ ჰიგიენურ ნორმებთან დაკავშირებულ უსაფრთხოების მოთხოვნებზე. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სამუშაო აღწერილობა ითვალისწინებს ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად გასატარებელ ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც უკავშირდება დასაქმებულთათვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნას, პრევენციული ღონისძიებების გატარებას, მათ ინსტრუქტაჟს სამუშაო უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით და ა. შ. ეტაპობრივად განხორციელდება თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ინსტრუქტაჟი. გარდა ამისა, კოლეჯში შემუშავებულია და მოქმედებს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, სახანძრო უსაფრთხოების, რისკის შეფასების, საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმები. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯის პერსონალისთვის ჩატარებულია სხვადასხვა ტიპის ტრენინგები. აღნიშნული დასტურდება ასევე შესაბამისი აღრიცხვის ჟურნალებში დაფიქსირებული ხელმოწერებით. დაწესებულების შენობა აღჭურვილია შრომის უსაფრთხოებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და მექანიზმებით, რაც გულისხმობს კომპეტენტური ორგანოების მიერ შემუშავებულ და თვალსაჩინო ადგილას გამოკრულ საევაკუაციო გეგმებს, საევაკუაციო გასასვლელებსა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კიბეებს, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემას სახანძრო სიგნალიზაციით, ევაკუაციის მართვის სისტემითა და მანათობელით, ავარიული ნიშნებით, ცეცხლმაქრებით და სხვა.

5.1.1.5 სტანდარტი შესაბამისობაშია.

5.1.1.6 დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები, კერძოდ:

კოლეჯს შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მასალა/ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის და ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის წესი", რომლის თანახმად, პროფესიული განათლების მასწავლებელი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან შეთანხმებით, დირექტორს წარუდგენს სასწავლო მიზნებისთვის პროფესიული

პროგრამის ფარგლებში გამოსაყენებელი სახარჯი მასალისა და ნედლეულის თაობაზე (მახასიათებლები და რაოდენობა), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის დაწყებამდე, აგრეთვე მოდულის მიმდინარეობისას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის, პროგრამაში შემავალი მოდულების მასალებისა და ნედლეულის ნაწილის გათვალისწინებით, კოლეჯის შესყიდვების მენეჯერი აწარმოებს ბაზრის კვლევას კოლეჯის დირექტორის დავალებით, ახორციელებს მასალებისა და ნედლეულის შესაბამისი პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებისათვის საჭირო რაოდენობის შესყიდვას, როგორც მოდულის დაწყებამდე, ისე მოდულის მიმდინარეობისას.

5.1.1.6 სტანდარტი შესაბამისობაშია.

5.1.1.7 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას, კერძოდ:

კოლეჯში ფუნქციონირებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „ქართლის" ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები", რომელიც ეფუძნება "დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" ციკლს. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას, რომლის შემადგენელი ნაწილია მატარიალური და საგანმანათლებლო რესურსები. მატერიალური რესურსების მონიტორინგი და შეფასება ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ხდება პერიოდულად, კოლეჯის "ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმით" განსაზღვრული ვადებში, რომელიც შესაბამისობაშია კოლეჯის სამოქმედო გეგმასთან და შესყიდვებისა და მატერიალური რესურსების მართვის მიმართულებით კოლეჯის საქმიანობასთან. მატერიალური რესურსების შეფასება-განვითარებისათვის, შესაძლოა, კონკრეტულ საკვლევ საკითხზე მონაცემთა შეგროვების დამატებით მეთოდად გამოყენებული იქნას ინტერვიუს ჩატარება/გამოკითხვა/ფოკუს ჯგუფი კოლეჯის თანამშრომლების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, პროფესიული განათლების მასწავლებლების/ინსტრუქტორების/მომზადება-გადამზადების პროგრამის განმახორციელებელთა, დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა ჩართულობით. კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტუდება, რომ ისინი სრულ მზაობას გამოხატავენ ავტორიზაციია მოპოვების შემდეგ აამოქმედონ გაწერილი მექნიზმები.

5.1.1.7 სტანდარტი შესაბამისობაშია.

5.1.1.8 პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის, კერძოდ:

კოლეჯ „ქართლის" შენობა-ნაგებობაში ყველა სართულზე მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა თანამშრომლისთვის, პროფესიული სტუდენტისა თუ მსმენელისთვის, მათ შორის შშმ პირებისთვის, სანიატული კვანძები არის სრულიად ადაპტირებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.1.1.8 სტანდარტი შესაბამისობაშია.

5.1.1.9 ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, კერძოდ:

კოლეჯის შენობა-ნაგებობის ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ ყველა სასწავლო ფართს, მათ შორის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს, აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება.

5.1.1.9 სტანდარტი შესაბამისობაშია.

5.1.1.10 სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას, კერძოდ:

დაწესებულებაში არსებული სათავსოები და სივრცეები ისეა განლაგებული, რომ ხელს არ უშლის საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას. შენობაში არ არის ერთნამანეთში გამავალი სასწავლო აუდიტორიები. გარდა ამისა, პირს არ უწევს ადმინისტრაციისთვის განკუთვნილ ოთახებში გავლა იმისათვის, რომ სასწავლო ან დასვენების სივრცით ისარგებლოს.

5.1.1.10 სტანდარტი შესაბამისობაშია.

5.1.1.11 მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, კერძოდ:

კოლეჯის ბიბლითეკაში განთავსებულია ყველა პროგრამისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო რესურსი. შერჩევითი პრინციპით გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი და პერსონალი (მკითხველი) უფლებამოსილია ისარგებლოს კოლეჯის საბიბლიოთეკო რესურსით, საბიბლიოთეკო სერვისით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და საინფორმაციო საშუალებებით, რისთვისაც სამკითხველო დარბაზში განთავსებულია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი პრინტერით. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად გამოიყენება დაწესებულების საკუთრებაში არსებული როგორც ბიბლიოთეკის ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებელზე არსებული წიგნადი ფონდი. კოლეჯში შემუშავებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკარის პირადი საქმის შესწავლითა და მასთან ინტერვიუს საფუძველზე დადასტურდა, რომ იგი არის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, და საკუთარ სამუშაო პროცესს ახორციელებს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობების აზომვითი ნახაზი;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- სასწავლო პროცესის მასალა/ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის და ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის წესი;
- ბიბლიოთეკის საინვენტარიზაციო წიგნი;
- კოლეჯის საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შესყიდვების დოკუმენტაცია;
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა;
- კომუნალური ხარჯის გადახდის ქვითრები;
- ინტერვიუს შედეგები

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.1.2.1 დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები, კერძოდ:

დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები, კერძოდ: დაწესებულებამ წარმოადგინა 2023 წლის 20 ივლისის სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს ინსპექტირების ანგარიში NBI - 247, რის საფუძველზეც დგინდება, რომ შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შესაბამისობაშია უსაფრთხოების ნორმებთან. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები, შენობის ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, ევაკუაციის გეგმაში მითითებული თავშეყრის ადგილის მითითების დაცვით. შენობის მთელ პერიმეტრზე, საევაკუაციო გზებზე, განთავსებულია მიმმართველები/მანათობელი მაჩვენებლები. მთელ შენობაში, თვალსაჩინო ადგილებზე, განთავსებულია ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებები. არსებობს სახანძრო უსაფრთხოების წესების ინსტრუქტაჟის ჩანაწერები. ასევე, დაწესებულებამ წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოს მიერ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბუროს საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა N 5009043722 (28.12.2022), სადაც მითითებულია, რომ კოლეჯის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ხარისხის დამაკმაყოფილებელია. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა 2023 წლის 02 თებერვლის სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და შპს „დაგის“ მიღება-ჩაბარების აქტი N320702/03/18, რითაც დგინდება, რომ სამშენებლო კომპანიამ სამშენებლო სამუშაოები ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში დაასრულა.

5.1.2.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.

5.1.2.2 დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, კერძოდ:

კოლეჯში პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფისათვის შრომითი ხელშეკრულებით აყვანილია მედდა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს პირველად გადაუდებელ დახმარებას კოლეჯის მიერ შემუშავებული „პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების წესის: შესაბამისად. მედდის პირადი საქმის შესწავლით დასტურდება მისი კომპეტენცია. კოლეჯში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საკონტაქტო ტელეფონის ნომერი პერსონალური მონაცემების უზრუნველყოფის დაცვით. კოლეჯი იღებს ვალდებულებას პირველადი გადაუდებელი დახმარების საშუალებების ვარგისიანობაზე, ამისათვის მუდმივად ხდება არსებული და შესაძენი საშუალებების ვადის გადამოწმება. მედდა ასევე აწარმოებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შესახებ სარეგისტრაციო ჟურნალს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





5.1.2.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

5.1.2.3 დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი, კერძოდ:

დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 06 ოქტომბრის № 452 დადგენილების ,,საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ'' მოთხოვნების შესაბამისად, შეთანხმებულია (MIA 1 25 02153017; 10.07.2025) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან და დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით (რეკვიზიტები: N838385, 08.07.2025). დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციების მიხედვით, შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი დადგენილი გრაფიკით ატარებს ხანძარსაწინააღმდეგო და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების ინსტრუქტაჟს. კოლეჯში შექმნილია საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების შტაბი/ჯგუფი, რომლის წევრებსაც გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგი. კოლეჯი უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობას ყველა მსმენელისა და თანამშრომლისთვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით.

5.1.2.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.

5.1.2.4 დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას, კერძოდ:

კოლეჯში წესრიგის დაცვის საკითხები დარეგულირებულია დირექტორის ბრძანებითა და დაცვის 7 თანამშრომელთან გაფორმებული ხელშეკრულებით. ხელშეკრულება ითვალისწინებს ობიექტზე საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალური ფასეულობების დაცვას. იმ სივრცეებში სადაც მიმდინარეობს ვიდეოთვალთვალი, გამოკრულია გამაფრთხილებელი ნიშნები, შესაბამისად კოლეჯი საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/ მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. კოლეჯში დამონტაჟებულია 48 შიდა და გარე ვიდეო სამეთვალყურეო კამერა.

5.1.2.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარისა და საშუალებების დათვალიერების შედეგები;
- დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ;
- შენობა - ნაგებობების დასკვნა მდგრადობის შესახებ;
- საგანგებო მართვის გეგმა;
- ვიდეო მეთვალყურეობის განხორციელების წესი;
- ხელშეკრულება დაწესებულების დაცვის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.2.1.1 პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს, კერძოდ:

სსიპ კოლეჯ „ქართლის“ სასწავლო და ადმინისტრაციული სივრცეები უზრუნველყოფილია სწავლებისა და ადმინისტრაციული საქმიანობისთვის საჭირო ინფორმაციული ტექნოლოგიების შესაბამისი ინფრასტრუქტურით. დაწესებულებაში ფუნქციონირებს კოლეჯის საქმიანობისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკა (პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები, პრინტერები, პროექტორები და სხვა). კომპიუტერები აღჭურვილია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით, რაც უწყობს ხელს როგორც სასწავლო, ასევე ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიან და შეუფერხებელ წარმართვას. მსმენელებსა და თანამშრომლებს აქვთ წვდომა როგორც კაბელურ, ასევე უკაბელო ინტერნეტზე.

5.2.1.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.

5.2.1.2 პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას, კერძოდ:

კოლეჯში მოქმედებს „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის მექანიზმები“, რომლის მიზანია კოლეჯმა უზრუნველყოს ერთიანი პრინციპით მოქმედი უსაფრთხო და ეფექტიანი ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობა როგორც სასწავლო, ასევე ადმინისტაციული საქმიანობის განსახორციელებლად სათანადო ინფრასტრუქტურის გამოყენებით. დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრული წესები ვრცელდება კოლეჯის ყველა იმ პირისთვის (ადმინისტრაცია, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები/მსმენელები), რომლებიც თავის საქმიანობაში იყენებენ ინფორმაციული ტექნოლოგიების რესურსებს. კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს კომპიუტერული ტექნიკის გამართული/მუშა მდგომარეობაში არსებობა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომუნიკაციის საშუალების, ინტერნეტ-რესურსების ხელმისაწვდომობა თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისათვის. კომპიუტერული ტექნიკის გმართულ მუშაობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე, არსებული პრობლემის დროულად მოგვარებაზე, ქსელის მართვაზე და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი არის IT სპეციალისტი/ქსელის ადმინისტრატორი.

5.2.1.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

5.2.1.3 დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას, კერძოდ:

კოლეჯში შემუშავებულია "პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკის" დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სსიპ კოლეჯ "ქართლის" მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესს და დამუშავების პროცესში მონაცემთა სუბიექტის უფლებათა დაცვის გარანტიებს. პოლიტიკის მიზანია განსაზღვროს კოლეჯის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა, დაიცვას ფიზიკური პირის უფლებები და უზრუნველყოს დამუშავების გამჭვირვალობა. კოლეჯს ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

5.2.1.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.

5.2.1.4 პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას, კერძოდ:

დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს კოლეჯში მიმდინარე საქმიანობისა და პროცესების, მათ შორის საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის შეფასებას. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა ქსელის ადმინისტრატორის სამსახურებრივი ბარათები კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესწავლასა და განხორციელებულ აქტივობასთან დაკავშირებით.

5.2.1.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.

5.2.1.5 პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება, კერძოდ:

კოლეჯის „მატერიალური რესურსების გამოყენების წესი" არეგულირებს სტუდენტებისა და თანამშრომლების ხელმისაწვდომობას IT ინფრასტრუქტურასა და შესაბამის სერვისებზე სწავლისა და მუშაობის პროცესში. IT ინფრასტრუქტურის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია ქსელის ადმინისტრატორი. კოლეჯის ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა დადასტურდა პერსონალთან გასაუბრებით.

5.2.1.5 სტანდარტი შესაბამისობაშია.

5.2.1.6 პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით, კერძოდ:

კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შპს „პროსერვისთან დომეინისა და ჰოსტინგით სარგებლობასთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემის საშუალებით.

5.2.1.6 სტანდარტი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხელშეკრულებები შპს „პროსერვისთან";
- საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის მექანიზმები;
- პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა;
- მატერიალური რესურსების გამოყენების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ქსელის დმინისტრატორის სამსახურებრივი ბარათები;
- ინტერვიუს შედეგები.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.2.2.1 პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი, კერძოდ:

კოლეჯში შემუშავებულია საქმისწარმოების წესი (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 31 დეკემბრის N 003 ბრძანებით), რომლის თანახმად, ერთიანი ელექტრონული საქმისწარმოების წესების ძირითადი მიზანია კოლეჯში ელექტრონული და მატერიალური დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება. დოკუმენტბრუნვის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება, აღრიცხვა მოწესრიგება და აღნიშნული პროცესის კოორდინაცია. ვიზიტის ფარგლებში კოლეჯის საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი მასალებით დადგინდა, რომ დაწესებულება იცავს საქმისწარმოების წესებს. დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები დანომრილი, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძულია.

5.2.2.1 სტანდარტი შესაამისობაშია.

5.2.2.2 აკადემიის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები მათ, შორის ელექტრონული საქმისწარმოებისათვის, კრძოდ:

კოლეჯი ელექტრონულ დოკუმენტბრუნვას ახორციელებს ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 17 აგვისტოს N951 ბრძანების შესაბამისად. საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-Flow მეშვეობით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სისტემაში ატვირთული დოკუმენტაცია.

5.2.2.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

5.2.2.3 პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას, კერძოდ:

დაწესებულება ხელმძღვანელობს რეესტრის წარმოების ერთიანი წესით, აწარმოებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საინფორმაციო მართვის სისტემას (evet.emis.ge), ფაქტობრივი მდგომარეობით დადგინდა, რომ დაწესებულება ინფორმაციას რეესტრში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 17 თებერვლის N11/ნ ბრძანებით დადგენილი ნორმების შესაბამისად. სისტემაში აისახება ინფორმაცია კოლეჯის საქმიანობის, საგანმანათლებლო პროგრამების, ადამიანური რესურსების, ბიზნესთან ურთიერთობის, პროფესიული სტუდენტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





შესახებ და სხვა. ბაზაში ასახული ინფორმაციის გადამოწმებით დადგინდა, რომ კოლეჯი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს ინფორმაციის ასახვას.

5.2.2.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.

5.2.2.4 პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან, კერძოდ:

ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა კოლეჯის მიერ განხორციელებული საქმიანობა, მიმოწერა და ანგარიშგება ზემდგომ ორგანოებთან და დადასტურდა, რომ ინფორმაციის მიწოდება და კომუნიკაცია კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ხორციელდება.

5.2.2.4 სტანდართი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ - კოლეჯ „ქართლის საქმისწარმოების წესი“;
- კოლეჯის საქმისწარმოების დოკუმენტაცია და ჟურნალები;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული ინფორმაცია;
- eFlow - ს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში ასახული ინფორმაცია;
- ინტერვიუს შედეგები.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.2.3.1 პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს, კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის ოფიციალური ვებ გვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს კომუნიკაციისა და ინფორმაციის გავრცელების ორმაგ ფუნქციას. ისინი მნიშვნელოვანი არხებია როგორც პსდ-ს საქმიანობის საჯაროდ წარმოსაჩენად, ასევე დაინტერესებული პირებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მისაწოდებლად. საკომუნიკაციო თვალსაზრისით, ვებგვერდზე ხელმისაწვდომია დეტალური საკონტაქტო ინფორმაცია, რაც დაინტერესებულ პირს შესაძლებლობას აძლევს, მარტივად დაუკავშირდეს დაწესებულებას. საინფორმაციო ფუნქციის ფარგლებში მუდმივად თავსდება განახლებული ინფორმაცია როგორც საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე დაწესებულების სტრუქტურის, პერსონალის, პსდ-ის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ. საიტზე მარტივი ნავიგაცია და ინფორმაციის ლოგიკური დაჯგუფება უზრუნველყოფს მომხმარებლის კომფორტს.
განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მიმდინარე სიახლეებსა და განხორციელებულ აქტივობებს. მნიშვნელოვანია, რომ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია სრულად შეესაბამება პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობას. ვებგვერდზე სრულყოფილად არის წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც ორიენტირებულია დაინტერესებული მხარეების საჭიროებებზე.

5.2.3.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.

5.2.3.2 დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას, კერძოდ:
კოლეჯის მისიით განსაზღვრულია საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნათა დაკმაყოფილება, რაც წარმოადგენს კოლეჯის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს. სოციალური ქსელის გვერდისა და ვებ კოლეჯის ვებ გვერდი ამჯერად რეზიუმირებული ვარიანტით ფუნქციონირებს ასევე ინგლისურ ენაზე.

5.2.3.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

5.2.3.3 პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას, კერძოდ:
იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯის სავტორიზაციის მოპოვების ეტაპზეა, ვებ გვერდსა და სოციალური ქსელის გვერდზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია არ არის განთავსებული. აღსანიშნავია, რომ კოლეჯი ამ ეტაპზე მოკლევადიან პროგრამებს ახორციელებს, რომელთა შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ვებ გვერდსა და სოციალური ქსელის გვერდზე.

5.2.3.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.

5.2.3.4 საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ, კერძოდ:
დაწესებულებას შემუშავებული აქვს კატალოგი, სადაც ანონსის სახით მოცემულია ინფორმაცია განსახორციელებელი პგორამების შესახებ. კატალოგში წარმოდგენილია:

- დაწესებულების საკონტაქტო მონაცემები;
- პსდს მისია, ხედვა და ღირებულებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი;
- თითოეული პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები;
- მისანიჭებელი კვალიფიკაციები;
- კრედიტების მოცულობა.

5.2.3..4 სტანდარტი შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





5.2.3.5 პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, კერძოდ:

იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯი ამ ეტაპზე არ არის ავტორიზებული, კატალოგის განახლების აუცილებლობა არ დგას დღის წესრიგში.

5.2.3.5 სტანდარტი შესაბამისობაშია.

5.2.3.6 საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, კერძოდ:

კოლეჯში საზოგადოებასთან ურთიერთობის პოლიტიკა ეფუძნება დირექტორის 2022 წლის 9 მარტის N008-1/რ ბრძანებით დამტკიცებულ საზოგადოებასთან ურთიერთობის წესს, რომელიც ემყარება პროფესიონალიზმის, გამჭვირვალე საქმიანობის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და სამართლიანობის პრინციპებს. კოლეჯი უზრუნველყოფს პოპულარიზაციის, ცნობადობის ამაღლების, იმიჯის მართვასა და რეპუტაციის გამყარების მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. კოლეჯის საზოგადობასთან კომუნიკაციის სტრატეგია განისაზღვრება დაწესებულების სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე. კოლეჯის ყველა თანამშრომელი ვალდებულია წარმართოს კომუნიკაცია, როგორც კოლეჯს შიგნით, ასევე გარეთ, იმგვარად, რომ დაცული იყოს ინფორმაციის სინამდვილე და მიწოდების გონივრული ვადის ინტერესი. უკუკავშირის მიღება პსდ-ის საკომუნიკაციო პოლიტიკის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. მისი შეგროვება ხორციელდება როგორც ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით (მათ შორის სპეციალური საკონტაქტო ველის გამოყენებით), ასევე შიდა და გარე შეფასებების გზით, რაც საშუალებას აძლევს კოლეჯს მიზნობრივად გაუმჯობესოს საქმიანობა.

5.2.3.6 სტანდარტი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი;
- ვებ გვერდი და სოციალური ქსელის გვერდი;
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.3.1.1 პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება, კერძოდ:

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი მასალების მიხედვით დასტურდება, რომ დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება. ბიუჯეტში გათვალისწინებულია გეგმების ამოცანებისა და პროფესიული პროგრამების განხორციელება-განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილი დაფინანსება. ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისგან. ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი მოიცავს ინფორმაციას შრომის ანაზღაურების, საერთო, ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯების შესახებ. დაწესებულებაში სამოქმედო გეგმის შესაბამისად დგება ყოველი წლის ბიუჯეტისა და შესყიდვების გეგმა. გარდა ამისა, კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს ააიპ პროფესიული უნარების სააგენტოსთან, რომლის მიერ უკვე დაფინანსდა 6 მოკლევადიანი მომზადების პროგრამა, რომლის პირველმა ნაკადმა სწავლა წარმატებით დაასრულა 2025 წლის გაზაფხულზე. აგრეთვე, კოლეჯი თანამშრომლობს სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან. აღნიშნულმა ორგანიზაციამ კოლეჯში პროფესიული მომზადების ერთი პროგრამა უკვე დააფინანსა. პროგრამაზე სწავლა წარმატებით დასრულდა მიმდინარე წლის გაზაფხულზე.

5.3.1.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.

5.3.1.2 საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით, კერძოდ:

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ კოლეჯში ბიუჯეტის შედგენის პროცესი იწყება მომდევნო კალენდარული წლის დაწყებამდე, განისაზღვრება შესყიდვების ნუსხას. დირექტორი და ფინანსებზე პასუხისმგებელი პირი განიხილავენ წინა წლის საბოლოო ბიუჯეტს, განიხილავენ სამომავლო განვითარების პრიორიტეტებსა და პერსპექტივებს, რათა ბიუჯეტის პროექტი სწორად ასახავდეს კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს. დაწესებულება განიხილავს საოპერაციო ხარჯებს - ფასების ცვლილებას საქონელსა და მომსახურებაზე, კოლეჯის მოხმარების დონის ცვლილებას (კომუნალური, საექსპლუატაციო და სხვა), მსმენელთა და პერსონალის აქტივობისთვის დაგეგმილი ღონისძიებების ხარჯს, სარეკლამო ხასიათის ხარჯს და სხვა. აღნიშნულის გათვალისწინებით კი მობილიზებას უწევს ფინანსურ რესურსებს და გეგმავს ბიუჯეტს.

5.3.1.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

5.3.1.3 დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას, კერძოდ:

დაწესებულება ახდენს საკუთარ ფინანსური მდგრადობის შეფასებას. ბიუჯეტის მონიტორინგის მიზანი არის საბიუჯეტო პერიოდის განმავლობაში რესურსების, ხარჯების და ვალდებულებების მართვის ეფექტიანობის ანალიზი და შეფასება. მონიტორინგი შესაძლებელია ჩატარდეს საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე - შედგენა, განხილვა, დამტკიცება, აღსრულება, კონტროლი. კოლეჯი ანგარიშვალდებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს ყოველწლიურად წარუდგინოს ფინანსური ანგარიშები.

5.3.1.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.

5.3.1.4 დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე, კერძოდ:

დაწესებულება ვალდებულია ყოველი წლის ბოლოს გააკეთოს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. აღნიშნული ანგარიშის და საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტური შეფასების შედეგად, იგეგმება შემდგომი აქტივობები და ხდება სათანადო რეაგირება შეფასების შედეგებზე. კოლეჯში ყოველწლიურად ხდება მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისი ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად საპროგნოზო ბიუჯეტის განსაზღვრა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



და ასევე, უახლოესი 3 წლის საბიუჯეტო განაცხადის შემუშავება. შემუშავებული ყოველწლიური საპროგნოზო ბიუჯეტი და საბიუჯეტო განაცხადი, განსაზღვრულ ვადებში შესათანხმებლად წარედგინება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს. შეთანხმებული ბიუჯეტის ფარგლებში, მიღებული ფინანსური რესურსის განკარგვა მიდინარეობს ყოველწლიურად მიზნობრივად.

5.3.1.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი;
- 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი;
- შემოსავლებისა და ხარჯების დინამიკა წლების მიხედვით;
- სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგები;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	შედუღება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	23.07.2025, N905776
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ახალი ბანას ქუჩა N15
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1 პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, კერძოდ:

სსიპ კოლეჯ "ქართლის" სტრატეგიული განვითარების გეგმაში, პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრულია ადგილობრივ და საერთაშორისო შრომით ბაზარზე მოთხოვნადი პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა. კოლეჯ "ქართლის" მისიიდან გამომდინარე, დაწესებულება მრავალპროფილურია, შესაბამისად, პრიორიტეტულია სხვადასხვა მიმართულების პროგრამების განხორციელება. კოლეჯის მიერ ყველა საგანმანათლებლო პროგრამის დამატება და განხორციელება ხდება უშუალოდ შრომის ბაზრის კვლევის, სტატისტიკური მონაცემებისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით. კოლეჯს შემუშავებული აქვს "საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების მეთოდოლოგია", რომლის საფუძველზეც კოლეჯმა გადაწყვიტა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„შედუღების"** შემუშავება. ხაშურის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს და ასევე დაგეგმილია მასშტაბური საინჟინრო, სამშენებლო, სარკინიგზო, საავტომობილო ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სისტემების მოდერნიზაციის ინფრასტრუქტურული პროექტები: საავტომობილო გზების რეაბილიტაცია და მშენებლობა, წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის მოწყობა, მუნიციპალური შენობებისა და საბინაო ინფრასტრუქტურის განახლება, სკოლებისა და საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია-აშენება, სპორტული და სარეკრეაციო კომპლექსების მშენებლობა, საცხოვრებელი კორპუსებისა და კომერციული საქმიანობის ცენტრების მშენებლობა, ტურისტული ბიზნესების განვითარება-სასტუმროების მშენებლობა, კერძო საკუთრების კეთილმოწყობა, სარკინიგზო ინფრასტრუქტურის, ელექტრო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და გაზმომარაგების სისტემების განახლება. დაგეგმილია ასევე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა მდინარე მტკვარზე (ოსიაურის ჰესი, ქვიშხეთისა და გომის ჰესების კასკადები). ხაშურის მუნიციპალიტეტის გარდა, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს და დაგეგმილია ასევე კოლეჯის უახლოეს გეოგრაფიულ არეალში - მიმდებარე მუნიციპალიტეტებში (ქარელი, ბორჯომი, ხარაგაული). ეს პროექტები უკვე აფიქსირებენ დიდ მოთხოვნას ვიწრო და უნივერსალური კვალიფიკაციის მქონე შემდუღებლებზე (რკინა-ბეტონის კონსტრუქციების და ლითონის სხვადასხვა ელემენტების დამზადებისა და მონტაჟისათვის, მილების შედუღებისათვის) როგორც მიმდინარე ეტაპზე, ისე საპროგნოზოდ და ქმნიან დიდ შესაძლებლობებს პროფესიული განათლების განვითარების, თვითდასაქმება-დასაქმების ზრდისა და ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერებისთვის. შემდუღებლებზე არსებულ და საპროგნოზო მოთხოვნას შეესაბამება ის უნარები და კომპეტენციები, რასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ (IV დონე). დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს“ პროფესიული დეპარტამენტის 2025 წლის 25 ივნისის თანხმობის წერილი (N 743053) პრგორამის განხორციელებასთან დაკავშირებით.ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “შედუღების“ განხორციელების გადაწყვეტილება თავსებადია კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

2.1.1.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.1.1.2 საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ:

„შედუღების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. პროგრამაზე დაშვება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებისა და კოლეჯში დადგენილი წესების შესაბამისად. ამდენად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და მიღების პროცედურები უზრუნველყოფს ისეთ პირთა დაშვებას, რომლებიც პროგრამის განხორციელების ვადაში შეძლებენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1.1.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.1.1.3 პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, კერძოდ:

კოლეჯში შემუშავებულია „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას, მატერიალური რესურსის რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას. კოლეჯში არსებობს სამი ტიპის სასწავლო გარემო - A, B და C. დასაშვებია ერთ სივრცეში ორი ან მეტი ტიპის სასწავლო გარემოს კომბინირებული მოდელის შექმნა. მაგალითად, ერთ სივრცეში A და C, B და C ან A, B და C გარემოს კომბინირება.

დაწესებულების კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა, პრაქტიკის ობიექტების რესურსი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა, პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით მოდულების კვირეული დატვირთვა. დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში. მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ერთი სასწავლო გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გათვალისწინებული აქვს ერთი B, ერთი და ერთი AC გარემო.

2.1.1.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.1.1.4 საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, რესურსის არსებობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგინდა ვიზუალური დათვალირებით და რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

2.1.1.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.1.1.5 საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„შედუღება“** მოიცავს ზოგად და პროფესიულ მოდულებს, ხოლო არჩევითი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის არჩევითი ბლოკიდან ერთ არჩევით მოდულს.

2.1.1.5 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.1.1.6 საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ, კერძოდ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 13 სექტემბრის N78/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ „ქართლის“ წესდებისა და კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტების თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„შედუღება“** დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 23 ივლისის N905776 ბრძანებით.

2.1.1.6 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.1.1.7 პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„შედუღება“** შემუშავებულია იმავე სახელწოდების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე, სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს, ასახავს საქმიანობის სფეროს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

2.1.1.7 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.1.1.8 პსდ-ის საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„შედუღება“** შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. პროგრამა ითვალისწინებს, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლების კომპონენტს, ასევე ქართული ენის მოდულების (A2, B1) სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის კომპონენტების ლოგიკური თანმიმდევრობა და გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების აღდგენა-ჩაბარებისთვის ვადა. პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

2.1.1.8 სტანდარტი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების მეთოდოლოგი;

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„შედუღება“**;
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის თანხმობის წერილი **„შედუღების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 13 სექტემბრის N78/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ „ქართლის“ წესდება;
- გასაუბრება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ:

„პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ თანახმად, **„შედუღების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის გამოყოფილია შედუღების სახელოსნო. სახელოსნო აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, დანადგარებით, ხელსაწყო-იარაღებით. საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებაშია **„შედუღების"** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და სასწავლო რესურსის ნაწილი. დაწესებულებამ წარმოადგინა ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია, რომ კოლეჯში სახელოსნო მოწყობილია "შედუღების" ძველი (მე-3 დონე) საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის საჭირო სრული მატერიალური რესურსით. საავტორიზაციოდ წარმოდგენილი **"შედუღების"** ახალი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **"შედუღება"** (მე-4 დონე) დამატებით საჭიროებს გარკვეული სახის აღჭურვილობას, რაც ამ ეტაპზე არ აქვს შეძენილი კოლეჯს. კოლეჯის მიერ ჩატარებულია ბაზრის კვლევა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და განსაზღვრულია საორიენტაციო ბიუჯეტი დამატებითი აღჭურვილობის შესაძენად. დაფინანსების მიღების შემდეგ, აღნიშნული აღჭურვილობა შეძენილი იქნება გამარტივებული შესყიდვიდ და/ან ტენდერის საშუალოებით. შესყიდვის დასრულების ვადად განსაზღვრულია 2026 წლის 15 აპრილი. ექსპერტთა მიერ აღნიშნული კომპონენტი შეფასდა მეტწილად.

კოლეჯში პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი კომპიუტერული კლას-კაბინეტი სტუდენტებისა და მასწავლებლისათვის აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, საპრეზენტაციო საშუალებებით და ინტერნეტით.

კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის სტუდენტებისათვის და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ყოველივეს გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა **„შედუღების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განისაზღვრა 15 პროფესიული სტუდენტით.

2.2.1.1 სტანდარტი მეტწილ შესაბამისობაშია.

2.2.1.2 პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„შედუღება“**, განხორციელების მიზნით, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი და ინტეგრირებული, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 7 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 4 პირი პროფესიული მოდულის განმახორციელებელია, ხოლო 3 მათგანი ზოგად მოდულს უძღვება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს. პერსონალთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები.

2.2.1.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.2.1.3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, კერძოდ: ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„შედუღება“** პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის, სწავლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას. უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. ვიზიტის ფარგლებში, ექპერტები გაესაუბრნენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, და დადგინდა, რომ ისინი მონაწილეობდნენ მოდულების ადაპტირებაში, გავლილი აქვთ სხვადასხვა ტრეინინგი.

2.2.1.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.2.1.4 საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, კერძოდ: დაწესებულების დაწესებულების რეგულაციებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„შედუღება“** ხელმძღვანელად დაინიშნა შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც ამავე დროს პროგრამის განმახორციელებელიცაა. პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ იგი დარგის მოქმედი კვალიფიციური სპეციალისტია, მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაში.

2.2.1.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.2.1.5 საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, კერძოდ: კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში **„შედუღება“** მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას. კოლეჯის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებას პროფესიული სტუდენტებისა და განმახორციელებლებისათვის. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს სამკითხველო სივრცეს, ინტერნეტში ჩართულ კომპიუტერს, პრინტერს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მასალების ბეჭდვისა და სკანირების შესაძლებლობას. საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა დადასტურდა ბიბლიოთეკარსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით.

2.2.1.5 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.2.1.6 სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, კერძოდ: დაწესებულებას აქვს მზაობა უზრუნველყოს სსსმ პირებისათვის ინიდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურება, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა. კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები, რომლითაც რეგულირდება სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოდულის მოდიფიკაცია ან/და აკომოდაცია, რითაც მოხდება სსსმ პირისთვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის დაზუსტება. საჭიროების შემთხვევაში მოხდება საგანმანათლებლო რესურსის ადაპტირება, რომელიც მორგებული იქნება სსსმ პირზე.

2.2.1.6 სტანდარტი შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.7 პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, კერძოდ:

კოლეჯის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის **„შედუღება“** მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლებიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება. ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას (12 პროფესიული სტუდენტი). საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- პროფესიული განათლების მასწავლებლების ანაზღაურება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირება;
- პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის და მასალა-ნედლეულის ხარჯი;
- დიპლომის ხარჯი;
- სხვა ხარჯი

2.2.1.7 სტანდარტი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„შედუღება“**;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის მეთოდოლოგია;
- პროფესიული მასწავლებლების დატვირთვის სქემა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელშეკრულება;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- გასაუბრება

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.1.1 პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ., კერძოდ:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას. კოლეჯში პროგრამის შეფასებას ახდენს ხარისხის მართვის მენეჯერი. პროგრამის შეფასება ხდება სხვადასხვა კომპონენტებისა და ინდიკატორების საფუძველზე. პროგრამის შეფასების შედეგად ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შემდგომი სრულყოფის მიზნით. პროგრამის შეფასებაში სპეციალური კითხვარების შევსების მეთოდით მონაწილეობენ პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და კურსდამთავრებულები. იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებას ჯერ არ აქვს პროგრამის განხოციელების უფლება მოპოვებული, მისი შეფასება ჯერ არ მომხდარა.

2.3.1.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.3.1.2 პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, კერძოდ, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში შეტანილი ცვლილებების ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამების განვითარების კუთხით პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლოა განხორციელდეს ცვლილება, კერძოდ, შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

2.3.1.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- გასაუბრება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1 პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, კერძოდ:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის **„შედუღება“** შედგენილია სასწავლო გეგმა, მოდულებში განსაზღვრული საათების გათვალისწინებით. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. სასწავლო გეგმა იძლევა ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრულად განხორციელების შესახებ და უმეტესად დაცულია მოდულების განხორციელების ლოგიკური თანმიმდევრობა, თუმცა, „შედუღების პროცესისთვის მასალების მომზადების“ და „შედუღების მასალების“ მოდულების შესწავლა სასწავლო გეგმის მიხედვით უნდა განხორციელდეს 47-ე და 12-ე კვირაში. ლოგიკურობის კუთხით მნიშვნელოვანია, რომ ჯერ შედუღების მასალები და შედუღების მასალების მომზადება შეისწავლოს პროფესიულმა სტუდენტმა და შემდგომ შედუღების პროცესები. დაწესებულებამ გაითვალისწინა ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გაცემული განმავითარებელი და ცვლილება შიტანა სასწავლო გეგმაში.

2.4.1.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.4.1.2 პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, კერძოდ: კოლეჯის მარეგულირებელი აქტებით გაწერილია სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურები, რომელიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. დოკუმენტები არეგულირებენ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების პროცედურებს, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, აპელაციის, კვალიფიკაციის მინიჭების, ინდივიდუალური გეგმის, სწავლების დამატებითი პერიოდის, სასწავლო პროცესში სსსმ პირების ჩართვის, საწარმოო პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მექანიზმებს, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. დაწესებულება მაქსიმალურ მხარდაჭერას უცხადებს პროფესიულ სტუდენტებს ისეთი საკითხების გადაჭრაში, როგორიცაა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, დამატებითი მეცადინეობის ან/და კონსულტაციის ჩატარება, განმეორებითი შეფასება და სხვა. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში არეგულირებს მეცადინეობათა განხორციელების განრიგს. აღნიშნული დადასტურდა კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების დროს.

2.4.1.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.1.3 სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, კერძოდ: კოლეჯი აქტიურად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის დასადასტურებლად შეფასების პროცესში განხილული იქნა სხვადასხვა კომპონენტი, ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და დადასტურდა, რომ სწავლების პროცესში აქტიურად გაიყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებს (ინტერაქციული ლექცია, პრაქტიკული დავალება, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით, როლური თამაში, სიმულაციები და სხვა. მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. კოლეჯი უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას სასწავლო პროცესში, რაც მოიცავს სათანადოდ აღჭურვილ სახელოსნოებსა და ლაბორატორიებს. კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება სწავლების თანამედროვე სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკულ მომზადებას.

2.4.1.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.4.1.4 პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, კერძოდ: დაწესებულების რეგულაციებით გაწერილია სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურები, რომელიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. დოკუმენტით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები. კოლეჯი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა/წარმომადგენლების ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ყველა შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება.

2.4.1.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.4.1.5 პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით, კერძოდ:

მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„შედუღების“** განხორციელება იმიტირებულ სამუშაო გარემოში იგეგმება, კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი მუნიციპალიტეტში არსებულ კომპანიებთან, რომლებიც მზადყონას გამოთქვამენ, ხელი შეუწყონ პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმებას.

2.4.1.5 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.4.1.6 სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კერძოდ:

სასწავლო პროცესი წარიმართება უსაფრთხო სასწავლო გარემოში, **“შედუღების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. ელექტრო გაყვანილობა ჩასმულია საკაბელო არხებში და გოფრირებულ მილებში, ქსელი აღჭურვილია დამცავი გამორთვის მოწყობილობით, რაც გარემოს ქმნის ელექტრულად უსაფრთხოს. დანადგარებთან გამოკრულია გამაფთხილებელი აბრები. სახელოსნოში განთავსებულია ცეცხლმაქრები და სახანძრო აღჭურვილობა. სახელოსნო აღჭურვილია ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაციის სისტემით. სახელოსნოში პრაქტიკული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალებების შესრულების წინ სტუდენტებს ჩაუტარდებათ ინსტრუქტაჟი ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის აუცილებლობის შესახებ. ასევე, კოლეჯს აქვს შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი და ჰყავს მედდა.

2.4.1.6 სტანდარტი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- კომპანიებთან დადებული ხელშეკრულებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „**შედუღება**";
- ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, დაწესებულების პარტნიორებთან;
- უსაფრთხოების ტრენინგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1 პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, კერძოდ: დაწესებულებაში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების მექანიზმები, რომელშიც გათვალისწინებულია შედეგების დადასტურების, გასაჩივრების, განმეორებით შეფასებაზე გასვლის პროცედურები, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი და პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულნი არიან გააცნონ პროფესიულ სტუდენტს შეფასების სისტემა. აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებაში ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა ინტერვიურება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

2.4..2.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.4.2.2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, კერძოდ: ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი შეფასების პროცესის ვერიფიკაციას ახდენს. ვერიფიკაცია არის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილი, ვერიფიკაციის პროცესში არ უნდა იქნეს ჩართული პირი, რომელმაც შეიმუშავა შეფასების ინსტრუმენტი ან რაიმე სახით მონაწილეობდა მის შექმნაში. ვერიფიკაცია ტარდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





შერჩევითობის პრინციპით, ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება დასკვნაში. საჭიროების შემთხვევაში გაიცემა რეკომენდაციები. ვინაიდან **„შედეგების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ამ ეტაპზე ავტორიზაციის მოპოვების პროცესშია, ვერიფიკაციის პროცესი ვერ შეფასდა.

2.4.2.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.4.2.3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, კერძოდ: კოლეჯის რეგულაციებითა და წარმოდგენილი დოკუმენტებით დადგინდა, რომ დადასტურებული შეფასების ინსტრუმენტები და პრაქტიკული კომპონენტის შეფასების მტკიცებულებები ინახება მატერიალური სახით. სასწავლო წლის განმავლობაში პროფესიულ სტუდენტთა განმსაზღვრელი შეფასებისთვის განკუთვნილი მტკიცებულებები, ინახება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, შემდგომ იქმნება კომისია და ექვემდებარება განადგურებას.

2.4.2.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.4.2.4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის, კერძოდ: კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ მზად არიან პერიოდულად განიხილაონ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების შედეგები ინდივიდუალურ რეჟიმში პროფესიულ სტუდენტებთან, რომელიც გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის.

2.4.2.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 02 დეკემბრის N04-69 ბრძანებით);
- ვერიფიკაციის მექანიზმები;
- ინტერვიუირება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	23.07.2025, N905776
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ახალი ბანას ქუჩა N15
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	66
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	81

III. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1 პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, კერძოდ:

სსიპ კოლეჯ "ქართლის" სტრატეგიული განვითარების გეგმაში, პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრულია ადგილობრივ და საერთაშორისო შრომით ბაზარზე მოთხოვნადი პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა. კოლეჯ "ქართლის" მისიიდან გამომდინარე, დაწესებულება მრავალპროფილურია, შესაბამისად, პრიორიტეტულია სხვადასხვა მიმართულების პროგრამების განხორციელება. კოლეჯის მიერ ყველა საგანმანათლებლო პროგრამის დამატება და განხორციელება ხდება უშუალოდ შრომის ბაზრის კვლევის, სტატისტიკური მონაცემებისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით. კოლეჯს შემუშავებული აქვს "საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების მეთოდოლოგია", რომლის საფუძველზეც კოლეჯმა გადაწყვიტა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ელექტროობის"** შემუშავება. ხაშურის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს და ასევე დაგეგმილია მასშტაბური საინჟინრო, სამშენებლო, სარკინიგზო, საავტომობილო ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სისტემების მოდერნიზაციის ინფრასტრუქტურული პროექტები: საავტომობილო გზების რეაბილიტაცია და მშენებლობა, წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის მოწყობა, მუნიციპალური შენობებისა და საბინაო ინფრასტრუქტურის განახლება, სკოლებისა და საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია-აშენება, სპორტული და სარეკრეაციო კომპლექსების მშენებლობა, საცხოვრებელი კორპუსებისა და კომერციული საქმიანობის ცენტრების მშენებლობა, ტურისტული ბიზნესების განვითარება-სასტუმროების მშენებლობა, კერძო საკუთრების კეთილმოწყობა, სარკინიგზო ინფრასტრუქტურის, ელექტრო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და გაზმომარაგების სისტემების განახლება. დაგეგმილია ასევე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა მდინარე მტკვარზე (ოსიაურის ჰესი, ქვიშხეთისა და გომის ჰესების კასკადები). ხაშურის მუნიციპალიტეტის გარდა, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს და დაგეგმილია ასევე კოლეჯის უახლოეს გეოგრაფიულ არეალში - მიმდებარე მუნიციპალიტეტებში (ქარელი, ბორჯომი, ხარაგაული). ეს პროექტები უკვე აფიქსირებენ დიდ მოთხოვნას ელექტრიკოსებზე როგორც მიმდინარე ეტაპზე, ისე საპროგნოზოდ და ქმნიან დიდ შესაძლებლობებს პროფესიული განათლების განვითარების, თვითდასაქმება-დასაქმების ზრდისა და ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერებისთვის. ელექტროობის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში ელექტრულ დანადგარებისა და სხვა ელექტრულ აპარატურის მომსახურე პირად: ელექტრიკოსად; ელექტროტექნიკური სისტემების მემონტაჟედ; შენობის ელექტრიკოსად; მომმარაგებელელექტრიკოსად; ელექტრო-მექანიკოსად; ელექტროგაყვანილობის და ფიტინგების მემონტაჟედ; განათების სისტემების მემონტაჟედ; ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის მემონტაჟედ; დამცავი სიგნალიზაციის მემონტაჟედ; ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების მემონტაჟედ; ასაფრენ-დასაფრენი ბილიკების განათების მემონტაჟედ; მზის ენერგიის ელექტრული კოლექტორების მემონტაჟედ.

დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს“ პროფესიული დეპარტამენტის 2025 წლის 25 ივნისის თანხმობის წერილი (N 743053) პრგორამის განხორციელებასთან დაკავშირებით.ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ელექტროობის“** განხორციელების გადაწყვეტილება თავსებადია კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

2.1.1.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.1.1.2 საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ:

„ელექტროობის” პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლება. პროგრამაზე დაშვება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებისა და კოლეჯში დადგენილი წესების შესაბამისად. ამდენად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და მიღების პროცედურები უზრუნველყოფს ისეთ პირთა დაშვებას, რომლებიც პროგრამის განხორციელების ვადაში შეძლებენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1.1.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.1.1.3 პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, კერძოდ:

კოლეჯში შემუშავებულია „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას, მატერიალური რესურსის რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას. კოლეჯში არსებობს სამი ტიპის სასწავლო გარემო - A, B და C. დასაშვებია ერთ სივრცეში ორი ან მეტი ტიპის სასწავლო გარემოს კომბინირებული მოდელის შექმნა. მაგალითად, ერთ სივრცეში A და C, B და C ან A, B და C გარემოს კომბინირება.

დაწესებულების კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა, პრაქტიკის ობიექტების რესურსი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა, პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით მოდულების კვირეული დატვირთვა. დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში. მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ერთი სასწავლო გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით.

„ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გათვალისწინებული აქვს ერთი B, ერთი და ერთი AC გარემო.

2.1.1.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.1.1.4 საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, რესურსის არსებობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგინდა ვიზუალური დათვალირებით და რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

2.1.1.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.1.1.5 საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ელექტროობა“** მოიცავს ზოგად და პროფესიულ მოდულებს და არ ითვალისწინებს არჩევით მოდულს.

2.1.1.5 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.1.1.6 საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ, კერძოდ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 13 სექტემბრის N78/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ „ქართლის“ წესდებისა და კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტების თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ელექტროობა“** დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 23 ივლისის N905776 ბრძანებით.

2.1.1.6 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.1.1.7 პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ელექტროობა“** შემუშავებულია იმავე სახელწოდების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე, სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს, ასახავს საქმიანობის სფეროს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

2.1.1.7 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.1.1.8 პსდ-ის საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ელექტროობა“** შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. პროგრამა ითვალისწინებს, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლების კომპონენტს, ასევე ქართული ენის მოდულის (A2) სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის კომპონენტების ლოგიკური თანმიმდევრობა და გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების აღდგენა-ჩაბარებისთვის ვადა. პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

2.1.1.8 სტანდარტი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების მეთოდოლოგი;

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ელექტროობა“**;
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის თანხმობის წერილი **„ელექტროობის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 13 სექტემბრის N78/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ „ქართლის“ წესდება;
- გასაუბრება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ:

„პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ თანახმად, **„ელექტროობის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის გამოყოფილია ელექტროობის სახელოსნო. სახელოსნო აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, დანადგარებით, ხელსაწყო-იარაღებით. საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებაშია **„ელექტროობის"** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და სასწავლო რესურსი, არის დამიწების კონტური. მისი ვარგისიანობა დამოწმებულია შესაბამისი დოკუმენტით. გარდა ამისა ამავე გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის გამოყენებულია დიფერენციალური გამთიშველები და სასიგნალო ნათურები. C გარემოში სასურველია იყოს ამკრძალავი და გამაფრთხილებელი პლაკატები.

კოლეჯში პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი კომპიუტერული კლას-კაბინეტი სტუდენტებისა და მასწავლებლისათვის აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, საპრეზენტაციო საშუალებებით და ინტერნეტით. კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის სტუდენტებისათვის და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ყოველივეს გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა **„ელექტროობის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განისაზღვრა 15 პროფესიული სტუდენტით.

2.2.1.1 სტანდარტი მეტწილ შესაბამისობაშია.

2.2.1.2 პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„ელექტროობა“**, განხორციელების მიზნით, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი და ინტეგრირებული, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 5 პირი პროფესიული მოდულის განმახორციელებელია, ხოლო 4 მათგანი ზოგად მოდულს უძღვება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს. პერსონალთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები.

2.2.1.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.2.1.3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, კერძოდ: ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„ელექტროობა“** პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის, სწავლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას. უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. ვიზიტის ფარგლებში, ექპერტები გაესაუბრნენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, და დადგინდა, რომ ისინი მონაწილეობდნენ მოდულების ადაპტირებაში, გავლილი აქვთ სხვადასხვა ტრეინინგი.

2.2.1.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.2.1.4 საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, კერძოდ: დაწესებულების დაწესებულების რეგულაციებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„ელექტროობა“** ხელმძღვანელად დაინიშნა შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც ამავე დროს პროგრამის განმახორციელებელიცაა. პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ იგი დარგის მოქმედი კვალიფიციური სპეციალისტია, მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაში.

2.2.1.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.2.1.5 საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, კერძოდ: კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში **„ელექტროობა“** მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას. კოლეჯის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებას პროფესიული სტუდენტებისა და განმახორციელებლებისათვის. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს სამკითხველო სივრცეს, ინტერნეტში ჩართულ კომპიუტერს, პრინტერს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მასალების ბეჭდვისა და სკანირების შესაძლებლობას. საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა დადასტურდა ბიბლიოთეკარსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით.

2.2.1.5 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.2.1.6 სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, კერძოდ: დაწესებულებას აქვს მზაობა უზრუნველყოს სსსმ პირებისათვის ინიდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურება, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა. კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები, რომლითაც რეგულირდება სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოდულის მოდიფიკაცია ან/და აკომოდაცია, რითაც მოხდება სსსმ პირისთვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის დაზუსტება. საჭიროების შემთხვევაში მოხდება საგანმანათლებლო რესურსის ადაპტირება, რომელიც მორგებული იქნება სსსმ პირზე.

2.2.1.6 სტანდარტი შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





2.2.1.7 პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, კერძოდ:

კოლეჯის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის **„ელექტროობა“** მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლებიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება. ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას (7 პროფესიული სტუდენტი). საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- პროფესიული განათლების მასწავლებლების ანაზღაურება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირება;
- პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის და მასალა-ნედლეულის ხარჯი;
- დიპლომის ხარჯი;
- სხვა ხარჯი

2.2.1.7 სტანდარტი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ელექტროობა“**;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის მეთოდოლოგია;
- პროფესიული მასწავლებლების დატვირთვის სქემა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელშეკრულება;
- კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- გასაუბრება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
4. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.1.1 პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ., კერძოდ:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას. კოლეჯში პროგრამის შეფასებას ახდენს ხარისხის მართვის მენეჯერი. პროგრამის შეფასება ხდება სხვადასხვა კომპონენტებისა და ინდიკატორების საფუძველზე. პროგრამის შეფასების შედეგად ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შემდგომი სრულყოფის მიზნით. პროგრამის შეფასებაში სპეციალური კითხვარების შევსების მეთოდით მონაწილეობენ პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და კურსდამთავრებულები. იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებას ჯერ არ აქვს პროგრამის განხოციელების უფლება მოპოვებული, მისი შეფასება ჯერ არ მომხდარა.

2.3.1.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.3.1.2 პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, კერძოდ, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში შეტანილი ცვლილებების ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამების განვითარების კუთხით პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლოა განხორციელდეს ცვლილება, კერძოდ, შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

2.3.1.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- გასაუბრება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1 პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, კერძოდ:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის **„ელექტროობა“** შედგენილია სასწავლო გეგმა, მოდულებში განსაზღვრული საათების გათვალისწინებით. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. სასწავლო გეგმა იძლევა ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრულად განხორციელების შესახებ და დაცულია მოდულების განხორციელების ლოგიკური თანმიმდევრობა.

2.4.1.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.4.1.2 პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, კერძოდ: კოლეჯის მარეგულირებელი აქტებით გაწერილია სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურები, რომელიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. დოკუმენტები არეგულირებენ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების პროცედურებს, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, აპელაციის, კვალიფიკაციის მინიჭების, ინდივიდუალური გეგმის, სწავლების დამატებითი პერიოდის, სასწავლო პროცესში სსსმ პირების ჩართვის, საწარმოო პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მექანიზმებს, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. დაწესებულება მაქსიმალურ მხარდაჭერას უცხადებს პროფესიულ სტუდენტებს ისეთი საკითხების გადაჭრაში, როგორიცაა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, დამატებითი მეცადინეობის ან/და კონსულტაციის ჩატარება, განმეორებითი შეფასება და სხვა. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში არეგულირებს მეცადინეობათა განხორციელების განრიგს. აღნიშნული დადასტურდა კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების დროს.

2.4.1.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.4.1.3 სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, კერძოდ: კოლეჯი აქტიურად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის დასადასტურებლად შეფასების პროცესში განხილული იქნა სხვადასხვა კომპონენტი, ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და დადასტურდა, რომ სწავლების პროცესში აქტიურად გაიყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებს (ინტერაქციული ლექცია, პრაქტიკული დავალება, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით, როლური თამაში, სიმულაციები და სხვა. მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. კოლეჯი უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას სასწავლო პროცესში, რაც მოიცავს სათანადოდ აღჭურვილ სახელოსნოებსა და ლაბორატორიებს. კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება სწავლების თანამედროვე სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკულ მომზადებას.

2.4.1.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.4.1.4 პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, კერძოდ: დაწესებულების რეგულაციებით გაწერილია სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურები, რომელიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. დოკუმენტით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები. კოლეჯი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა/წარმომადგენლების ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ყველა შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება.

2.4.1.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.4.1.5 პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით, კერძოდ:

მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„ელექტროობის“** განხორციელება იმიტირებულ სამუშაო გარემოში იგეგმება, კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი „ენერგოპროჯორჯიასთან“, რომელიც მზადყონას გამოთქვამს, ხელი შეუწყოს პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმებას.

2.4.1.5 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.4.1.6 სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კერძოდ:

სასწავლო პროცესი წარიმართება უსაფრთხო სასწავლო გარემოში, **“ელექტროობის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. შემუშავებულია უსაფრთხოების ნორმები, დანადგარებთან გამოკრულია გამაფთხილებელი აბრები. სახელოსნოში პრაქტიკული დავალებების შესრულების წინ სტუდენტებს ჩაუტარდებათ ინსტრუქტაჟი ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის აუცილებლობის შესახებ. ასევე, კოლეჯს აქვს შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი და ჰყავს მედდა.

2.4.1.6 სტანდარტი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კომპანიებთან დადებული ხელშეკრულებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „**ელექტროობა**“;
- ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, დაწესებულების პარტნიორებთან;
- უსაფრთხოების ტრენინგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1 პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, კერძოდ: დაწესებულებაში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების მექანიზმები, რომელშიც გათვალისწინებულია შედეგების დადასტურების, გასაჩივრების, განმეორებით შეფასებაზე გასვლის პროცედურები, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი და პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულნი არიან გააცნონ პროფესიულ სტუდენტს შეფასების სისტემა. აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებაში ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა ინტერვიურება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

2.4..2.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.4.2.2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, კერძოდ: ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი შეფასების პროცესის ვერიფიკაციას ახდენს. ვერიფიკაცია არის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილი, ვერიფიკაციის პროცესში არ უნდა იქნეს ჩართული პირი, რომელმაც შეიმუშავა შეფასების ინსტრუმენტი ან რაიმე სახით მონაწილეობდა მის შექმნაში. ვერიფიკაცია ტარდება შერჩევითობის პრინციპით, ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება დასკვნაში. საჭიროების შემთხვევაში გაიცემა რეკომენდაციები. ვინაიდან **„ელექტროობის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ამ ეტაპზე ავტორიზაციის მოპოვების პროცესშია, ვერიფიკაციის პროცესი ვერ შეფასდა.

2.4.2.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.4.2.3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, კერძოდ: კოლეჯის რეგულაციებითა და წარმოდგენილი დოკუმენტებით დადგინდა, რომ დადასტურებული შეფასების ინსტრუმენტები და პრაქტიკული კომპონენტის შეფასების მტკიცებულებები ინახება მატერიალური სახით. სასწავლო წლის განმავლობაში პროფესიულ სტუდენტთა განმსაზღვრელი შეფასებისთვის განკუთვნილი მტკიცებულებები, ინახება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, შემდგომ იქმნება კომისია და ექვემდებარება განადგურებას.

2.4.2.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2.4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის, კერძოდ: კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ მზად არიან პერიოდულად განიხილაონ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების შედეგები ინდივიდუალურ რეჟიმში პროფესიულ სტუდენტებთან, რომელიც გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის.

2.4.2.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 02 დეკემბრის N04-69 ბრძანებით);
- ვერიფიკაციის მექანიზმები;
- ინტერვიუირება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმალესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	24.07.2025, N904658

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ახალი ბანას ქუჩა N15
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

IV. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1 პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, კერძოდ:

სსიპ კოლეჯ "ქართლის" სტრატეგიული განვითარების გეგმაში, პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრულია ადგილობრივ და საერთაშორისო შრომით ბაზარზე მოთხოვნადი პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა. კოლეჯ "ქართლის" მისიიდან გამომდინარე, დაწესებულება მრავალპროფილურია, შესაბამისად, პრიორიტეტულია სხვადასხვა მიმართულების პროგრამების განხორციელება. კოლეჯის მიერ ყველა საგანმანათლებლო პროგრამის დამატება და განხორციელება ხდება უშუალოდ შრომის ბაზრის კვლევის, სტატისტიკური მონაცემებისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით. კოლეჯს შემუშავებული აქვს "საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების მეთოდოლოგია", რომლის საფუძველზეც კოლეჯმა გადაწყვიტა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„აღმზრდელის"** შემუშავება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების ცხრილი, რომლის თანახმადაც პროფესიული პროგრამის **„აღმზრდელი"** დაგეგმვისა და შემუშავების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიზანშეწონილობა ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს, დამსაქმებელთა მოთხოვნათა ანალიზს, დაწესებულების მისიასა და ამოცანებს. დოკუმენტის თანახმად დაწესებულების მიერ, ეროვნულ დონეზე განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევების თანახმად, კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტი დაფიქსირებულია ქვეყნის მასშტაბით, განსაკუთრებით რეგიონებში. მოთხოვნა მზარდია როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორში. სკოლამდელი აღზრდის მიმართულება შედის პრიორიტეტულ მიმართულებებში, რომელთა დაფინანსებას და მხარდაჭერას სახელმწიფო გეგმავს მომავალშიც. აღნიშნული პროგრამა ეხმიანება სახელმწიფოს მიერ სკოლამდელი განათლების სექტორში ინიცირებულ რეფორმებს და მოთხოვნებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სპეციალისტების დეფიციტის აღმოფხვრას. ამავდროულად, პროგრამა პასუხობს საქართველოს კანონით "ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" დადგენილ მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც სავალდებულოა შესაბამისი კვალიფიკაციის ქონა აღმზრდელის პოზიციაზე დასაქმებისთვის. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მიზანშეწონილობის დოკუმენტიდან აგრეთვე დგინდება, რომ პროგრამა პირდაპირ პასუხობს არსებული და მომავალი სამუშაო ძალის მოთხოვნას კოლეჯის სამოქმედო გეოგრაფიულ არეალში: ხაშურის მუნიციპალიტეტის 2024–2027 წლების განვითარების სტრატეგიის დოკუმენტი ხაზს უსვამს სკოლამდელი განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის აუცილებლობას, რაც მოიცავს ახალი ინფრასტრუქტურის განვითარებას და არსებულის გაუმჯობესებას. დღეისათვის ხაშურის მუნიციპალიტეტში მოქმედებს 18 სკოლამდელი დაწესებულება და მიმდინარეობს 3 ახალი ბაღის მშენებლობა. მუნიციპალიტეტს ესაჭიროება მაღალი კვალიფიკაციის მქონე აღმზრდელები - პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ როგორც ახალი ვაკანსიების შევსებას, ასევე მათ ექნებათ შესაძლებლობა ჩაანაცვლონ არსებული ბაღების ასაკოვანი აღმზრდელები, რაც უზრუნველყოფს პერსონალის განახლებასა და სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესებას. კვალიფიციურ აღმზრდელებზე არსებულ და საპროგნოზო მოთხოვნას შეესაბამება ის უნარები და კომპეტენციები, რასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **"აღმზრდელი"**. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს“ პროფესიული დეპარტამენტის 2025 წლის 25 ივნისის თანხმობის წერილი (N 743053) პრგორამის განხორციელებასთან დაკავშირებით.ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **“აღმზრდელის“** განხორციელების გადაწყვეტილება თავსებადია კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

2.1.1.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.1.1.2 საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ:

„აღმზრდელის” პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლება. პროგრამაზე დაშვება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებისა და კოლეჯში დადგენილი წესების შესაბამისად. ამდენად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და მიღების პროცედურები უზრუნველყოფს ისეთ პირთა დაშვებას, რომლებიც პროგრამის განხორციელების ვადაში შეძლებენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1.1.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.1.1.3 პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, კერძოდ:

კოლეჯში შემუშავებულია „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას, მატერიალური რესურსის რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას. კოლეჯში არსებობს სამი ტიპის სასწავლო გარემო - A, B და C. დასაშვებია ერთ სივრცეში ორი ან მეტი ტიპის სასწავლო გარემოს კომბინირებული მოდელის შექმნა. მაგალითად, ერთ სივრცეში A და C, B და C ან A, B და C გარემოს კომბინირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





დაწესებულების კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა, პრაქტიკის ობიექტების რესურსი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა, პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით მოდულების კვირეული დატვირთვა. დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში. მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ერთი სასწავლო გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით.

„აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გათვალისწინებული აქვს ერთი B, ერთი და ერთი A გარემო.

2.1.1.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.1.1.4 საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, რესურსის არსებობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგინდა ვიზუალური დათვალირებით და რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

2.1.1.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.1.1.5 საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„აღმზრდელი“** მოიცავს ზოგად და პროფესიულ მოდულებს და არ ითვალისწინებს არჩევით მოდულს.

2.1.1.5 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.1.1.6 საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ, კერძოდ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 13 სექტემბრის N78/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ „ქართლის“ წესდებისა და კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტების თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„აღმზრდელი“** დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 24 ივლისის N904658 ბრძანებით.

2.1.1.6 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.1.1.7 პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„აღმზრდელის“** სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. იგი არ არის შეცდომაში შემყვანი ვინაიდან შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული სკოლამდელი აღზრდის პროფესიასთან.

2.1.1.7 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.1.1.8 პსდ-ის საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ელექტროობა“** შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. პროგრამა ითვალისწინებს, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლების კომპონენტს, ასევე ქართული ენის მოდულის (A2, B1) სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის კომპონენტების ლოგიკური თანმიმდევრობა და გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების აღდგენა-ჩაბარებისთვის ვადა. პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

2.1.1.8 სტანდარტი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების მეთოდოლოგი;

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„აღმზრდელი“**;
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის თანხმობის წერილი **„აღმზრდელის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 13 სექტემბრის N78/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ „ქართლის“ წესდება;
- გასაუბრება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ:

„პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ თანახმად, **„აღმზრდელის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის გამოყოფილი აქვს ერთი A და ერთი B სათანადოდ აღღურვილი გარემო 15 პროფესიული სტუდენტისთვის თითოეულ აუდიტორიაში. საგანმანათლებლო პროგრამა **„აღმზრდელი“** ითვალისწინებს პრაქტიკული კომპონენტის შემცველი ორი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“.

კოლეჯში პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი კომპიუტერული კლას-კაბინეტი სტუდენტებისა და მასწავლებლისათვის აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, საპრეზენტაციო საშუალებებით და ინტერნეტით. კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის სტუდენტებისათვის და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ყოველივეს გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა **„აღმზრდელის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განისაზღვრა 15 პროფესიული სტუდენტით.

2.2.1.1 სტანდარტი მეტწილ შესაბამისობაშია.

2.2.1.2 პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„აღმზრდელი“**, განხორციელების მიზნით, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი და ინტეგრირებული, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 8 პირი პროფესიული მოდულის განმახორციელებელია, ხოლო 3 მათგანი ზოგად მოდულს უძღვება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს. პერსონალთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები.

2.2.1.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.2.1.3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, კერძოდ: ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„აღმზრდელი“** პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის, სწავლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას. უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა უმეტესობა საბავშვო ბაღის დირექტორები ან იქ დასაქმებული პერსონალია. ვიზიტის ფარგლებში, ექპერტები გაესაუბრნენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, და დადგინდა, რომ ისინი მონაწილეობდნენ მოდულების ადაპტირებაში, გავლილი აქვთ სხვადასხვა ტრეინინგი.

2.2.1.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.2.1.4 საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, კერძოდ: დაწესებულების დაწესებულების რეგულაციებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„აღმზრდელი“** ხელმძღვანელად დაინიშნა შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც ამავე დროს პროგრამის განმახორციელებელიცაა. პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ იგი დარგის მოქმედი კვალიფიციური სპეციალისტია, მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაში.

2.2.1.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.2.1.5 საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, კერძოდ: კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში **„აღმზრდელი“** მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას. კოლეჯის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებას პროფესიული სტუდენტებისა და განმახორციელებლებისათვის. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს სამკითხველო სივრცეს, ინტერნეტში ჩართულ კომპიუტერს, პრინტერს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მასალების ბეჭდვისა და სკანირების შესაძლებლობას. საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა დადასტურდა ბიბლიოთეკარსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით.

2.2.1.5 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.2.1.6 სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, კერძოდ: დაწესებულებას აქვს მზაობა უზრუნველყოს სსსმ პირებისათვის ინიდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურება, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები, რომლითაც რეგულირდება სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოდულის მოდიფიკაცია ან/და აკომოდაცია, რითაც მოხდება სსსმ პირისთვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის დაზუსტება. საჭიროების შემთხვევაში მოხდება საგანმანათლებლო რესურსის ადაპტირება, რომელიც მორგებული იქნება სსსმ პირზე.

2.2.1.6 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.2.1.7 პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, კერძოდ:

კოლეჯის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის **„აღმზრდელი“** მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლებიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება. ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას (9 პროფესიული სტუდენტი). საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- პროფესიული განათლების მასწავლებლების ანაზღაურება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირება;
- პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის და მასალა-ნედლეულის ხარჯი;
- დიპლომის ხარჯი;
- სხვა ხარჯი

2.2.1.7 სტანდარტი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„აღმზრდელი“**;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის მეთოდოლოგია;
- პროფესიული მასწავლებლების დატვირთვის სქემა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელშეკრულება;
- კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- გასაუბრება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.1.1 პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ., კერძოდ:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას. კოლეჯში პროგრამის შეფასებას ახდენს ხარისხის მართვის მენეჯერი. პროგრამის შეფასება ხდება სხვადასხვა კომპონენტებისა და ინდიკატორების საფუძველზე. პროგრამის შეფასების შედეგად ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შემდგომი სრულყოფის მიზნით. პროგრამის შეფასებაში სპეციალური კითხვარების შევსების მეთოდით მონაწილეობენ პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და კურსდამთავრებულები. იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებას ჯერ არ აქვს პროგრამის განხოციელების უფლება მოპოვებული, მისი შეფასება ჯერ არ მომხდარა.

2.3.1.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.3.1.2 პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, კერძოდ, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში შეტანილი ცვლილებების ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამების განვითარების კუთხით პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლოა განხორციელდეს ცვლილება, კერძოდ, შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

2.3.1.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- გასაუბრება

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

7. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
8. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
9. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
10. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
11. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
12. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1 პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, კერძოდ:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის **„აღმზრდელი“** შედგენილია სასწავლო გეგმა, მოდულებში განსაზღვრული საათების გათვალისწინებით. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. სასწავლო გეგმა იძლევა ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრულად განხორციელების შესახებ და დაცულია მოდულების განხორციელების ლოგიკური თანმიმდევრობა.

2.4.1.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.4.1.2 პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, კერძოდ: კოლეჯის მარეგულირებელი აქტებით გაწერილია სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურები, რომელიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. დოკუმენტები არეგულირებენ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების პროცედურებს, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, აპელაციის, კვალიფიკაციის მინიჭების, ინდივიდუალური გეგმის, სწავლების დამატებითი პერიოდის, სასწავლო პროცესში სსსმ პირების ჩართვის, საწარმოო პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მექანიზმებს, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. დაწესებულება მაქსიმალურ მხარდაჭერას უცხადებს პროფესიულ სტუდენტებს ისეთი საკითხების გადაჭრაში, როგორიცაა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, დამატებითი მეცადინეობის ან/და კონსულტაციის ჩატარება, განმეორებითი შეფასება და სხვა. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში არეგულირებს მეცადინეობათა განხორციელების განრიგს. აღნიშნული დადასტურდა კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების დროს.

2.4.1.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.4.1.3 სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, კერძოდ: კოლეჯი აქტიურად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის დასადასტურებლად შეფასების პროცესში განხილული იქნა სხვადასხვა კომპონენტი, ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და დადასტურდა, რომ სწავლების პროცესში აქტიურად გაიყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებს (ინტერაქციული ლექცია, პრაქტიკული დავალება, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით, როლური თამაში, სიმულაციები და სხვა. მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. კოლეჯი უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას სასწავლო პროცესში, რაც მოიცავს სათანადოდ აღჭურვილ სახელოსნოებსა და ლაბორატორიებს. კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება სწავლების თანამედროვე სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკულ მომზადებას.

2.4.1.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.4.1.4 პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, კერძოდ: დაწესებულების რეგულაციებით გაწერილია სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურები, რომელიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. დოკუმენტით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები. კოლეჯი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა/წარმომადგენლების ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ყველა შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება.

2.4.1.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.4.1.5 პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით, კერძოდ:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„აღმზრდელის“** განხორციელება კოოპერაციული მიდგომით იგეგმება, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულება ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანებასთან (04.07.2023წ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ვადის დასრულებამდე). ხელშეკრულების თანახმად პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს, მის დაქვემდებარებაში შემავალ # 1, #5 და # 7 საბავშვო ბაგა–ბაღებში მომსახურება გაუწიოს კოლეჯის არაუმეტეს 15 პროფესიულ სტუდენტს (თითოეულ სტრუქტურულ ერთეულში 5 პროფესიული სტუდენტი).

2.4.1.5 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.4.1.6 სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





სასწავლო პროცესი წარიმართება უსაფრთხო სასწავლო გარემოში, **"აღმზრდელის"** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ არისშრომის უსაფრთხოების რისკის შემცველი პროგრამა. დაწესებულებაში შემუშავებულია უსაფრთხოების პლიტიკა, რომლის ფარგლებშიც ტარდება ტრენინგები მათ შორის პირველადი გადაუდებელ დახმარებასთან დაკავშირებით. კოლეჯს აქვს შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი და ჰყავს მედდა.

2.4.1.6 სტანდარტი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- კომპანიებთან დადებული ხელშეკრულებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „**აღმზრდელი**";
- ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, დაწესებულების პარტნიორებთან;
- უსაფრთხოების ტრენინგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1 პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, კერძოდ: დაწესებულებაში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების მექანიზმები, რომელშიც გათვალისწინებულია შედეგების დადასტურების, გასაჩივრების, განმეორებით შეფასებაზე გასვლის პროცედურები, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი და პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულნი არიან გააცნონ პროფესიულ სტუდენტს შეფასების სისტემა. აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებაში ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა ინტერვიურება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

2.4..2.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.4.2.2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, კერძოდ: ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი შეფასების პროცესის ვერიფიკაციას ახდენს. ვერიფიკაცია არის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილი, ვერიფიკაციის პროცესში არ უნდა იქნეს ჩართული პირი, რომელმაც შეიმუშავა შეფასების ინსტრუმენტი ან რაიმე სახით მონაწილეობდა მის შექმნაში. ვერიფიკაცია ტარდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შერჩევითობის პრინციპით, ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება დასკვნაში. საჭიროების შემთხვევაში გაიცემა რეკომენდაციები. ვინაიდან **„აღმზრდელის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ამ ეტაპზე ავტორიზაციის მოპოვების პროცესშია, ვერიფიკაციის პროცესი ვერ შეფასდა.

2.4.2.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.4.2.3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, კერძოდ: კოლეჯის რეგულაციებითა და წარმოდგენილი დოკუმენტებით დადგინდა, რომ დადასტურებული შეფასების ინსტრუმენტები და პრაქტიკული კომპონენტის შეფასების მტკიცებულებები ინახება მატერიალური სახით. სასწავლო წლის განმავლობაში პროფესიულ სტუდენტთა განმსაზღვრელი შეფასებისთვის განკუთვნილი მტკიცებულებები, ინახება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, შემდგომ იქმნება კომისია და ექვემდებარება განადგურებას.

2.4.2.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.4.2.4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის, კერძოდ: კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ მზად არიან პერიოდულად განიხილაონ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების შედეგები ინდივიდუალურ რეჟიმში პროფესიულ სტუდენტებთან, რომელიც გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის.

2.4.2.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ;
- ვერიფიკაციის მექანიზმები;
- ინტერვიუირება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

18.11.2025 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: